ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი (სისხლის სამართლი)

დავითი ბარაბაძე

შინაპატიმრობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი : მაია ივანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

თბილისი

2019

სარჩევი:

შინაპატიმრობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით.

შესავალი.....4

თავი I

შინაპატიმრობის არსი, მნიშვნელობა, წარმოშობა , მხარდამჭერი არგუმენტები, სახეები.

1. შინაპატიმრობის არსი, მნიშვნელობა 7
2. შინაპატიმრობის წარმოშობა; განვითარება საქართველოში.....9
3. შინაპატიმრობის სახეები 11
4. შინაპატიმრობის მხარდამჭერი არგუმენტები.....13

თავი II

შინაპატიმრობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით.

1. შინაპატიმრობის ცნება.....19
2. შინაპატიმრობის ვადა.....25
3. შინაპატიმრობის დანიშვნის წინაპირობები.....29
4. შეზღუდვები სასჯელის დანიშვნისას.....32

თავი III

შინაპატიმრობის აღსრულება.

1. შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი და მისი დანიშნულება.....38
2. ელექტრონული ზედამხედველობის ზემოქმედება და მისი ეფექტურობა.....40

2.1 ელექტრონული ზედამხედველობის ტექნიკური მხარე.....41

2.2 ელექტრონული ზედამხედველობის ზემოქმედების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტი.....43

თავი IV

სასამართლო პრაქტიკა და სტატისტიკა

1. სასამართლო პრაქტიკა.....47
2. სტატისტიკა.....50

დასკვნა.....54

ბიბლიოგრაფია.....57

შინაპატიმრობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით

შესავალი

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სასჯელის ინსტიტუტი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომლის მიხედვითაც ხორციელდება დამნაშავეთა დასჯა, ერთგვარი სამართლიანობის აღდგენა, რომელიც, თავის მხრივ, სასჯელის ერთ-ერთი მიზანია. თუმცა, ვფიქრობ, რომ სასჯელის უფრო მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. სასჯელის ზემოაღნიშნული მიზნების ფუნქციების შესრულება არ არის დამოკიდებული სასჯელის სიმკაცრეზე. შესაბამისად, გამუდმებით მიმდინარეობს სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაცია. ხდება მკაცრი სასჯელების შემსუბუქება, საპატიმრო სასჯელების არასაპატიმრო სასჯელებით შეცვლა. თავისუფლების აღკვეთა, რომელიც დღესდღეობით სასჯელის ყველაზე მძიმე სახეს წარმოადგენს , ისტორიულ წარსულში, როდესაც ის მიიღეს, საკმაოდ მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო იმდროინდელი კანონის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, რადგან მან ჩაანაცვლა ისეთი სახის სასჯელები რომელთა მიზანიც პირის სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვის გამოწვევა იყო(მაგალითად სიკვდილით დასჯა). მსოფლიოში დღესდღეობით მიღებულია, რომ ნაკლებად მკაცრი, ჰუმანური სასჯელები, მათ შორის ალტერნატიული, არასაპატიმრო სასჯელები უფრო შედეგიანი და ეფექტურია.

ალტერნატიული სასჯელი გულისხმობს დამნაშავისთვის ერთგვარი შანსის მიცემას გამოასწოროს მის მიერ წარსულში დაშვებული შეცდომა, მისდამი ისეთი

სახის ზემოქმედებით რომელიც არ გამოიწვევს მის მოწყვეტას საზოგადოებრივი ცხოვრებისგან, სადაც ის დანაშაულის ჩადენამდე ცხოვრობდა. ცალკე უნდა გამოვყოთ არასრულწლოვანი, რომლისთვისაც მნიშვნელობა ენიჭება სოციალიზაციის სხვა გარემოებებსაც, მაგალითად თანატოლებთან სიახლოვეს. პენიტენციურ დაწესებულებაში არასრულწლოვნის მოთავსება განსაკუთრებულად მოქმედებს მის ფსიქიკაზე, რადგან არასრულწლოვანი ჯერ საკმარისად არ არის ჩამოყალიბებული ფსიქიკური თვალსაზრისით და მისი ჩვეული ცხოვრების გარემოსგან მოწყვეტა საკმაოდ მძიმე შედეგებთან არის დაკავშირებული. არასრულწლოვნისთვის სასჯელის შერჩევა დამოკიდებულია არაერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის ოჯახურ, მატერიალურ , სოციალურ და სხვა მდგომარეობაზე. სასჯელის დანიშვნა, თავის მხრივ, კი უნდა ემსახურებოდეს არა მის დასჯას, არამედ მის აღზრდა-გამოსწორებას. ციხეში პირის მოხვედრით, უპირველეს ყოვლისა, ხდება მისთვის „იარლიყის მიკერება“, რომელიც ხელს უშლის მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.

21-ე საუკუნეში ტექნოლოგიების განვითარებამ თავისი წვლილი შეიტანა სასჯელაღსრულების სისტემაში. კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკის ამ სფეროში შემოსვლამ უზრუნველყო მონიტორინგისა და კონტროლის მაღალ დონეზე აყვანა. შესაბამისად, შემოღებული იქნა მაღალ ეფექტური, შედარებით ნაკლები დანახარჯების მქონე, უფრო ჰუმანური სასჯელი შინაპატიმრობა, რომელიც არა მხოლოს დამნაშავისა და მისი ოჯახისთვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც მისაღები ალტერნატივაა.

შინაპატიმრობა, როგორც არასაპატიმრო სასჯელის ერთ-ერთი სახე, წარმოადგენს სისხლის სამართლის მნიშვნელოვან მიღწევას მსოფლიოს სამართლის სისტემებში. თანდათანობით ხორციელდება სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაცია და სწორედ შინაპატიმრობის ინსტიტუტი ლიბერალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გამორჩეულ გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს, არა მხოლოდ არასრულწლოვანთა მიმართებით, არამედ სრულწლოვან პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაშიც. საქართველოში შინაპატიმრობის ინსტიტუტი ნოვაციას წარმოადგენს, განსაკუთრებით სისხლის სამართლის კანონით, რადგან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით ზემოაღნიშნული ინსტიტუტი 2015 წლის 1-ლი

სექტემბრიდან არსებობს, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსში შინაპატიმრობა მოქმედებს 2018 წლიდან. აღნიშნული ნაშრომი, სწორედ, ამ ჭრილში იქნება განხილული, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული ამ ინსტიტუტის შედარებაში. საკითხის აქტუალობაც განაპირობებს მისი განხილვის დიდ მნიშვნელობას მოცემული ნაშრომის შესაბამისად. შინაპატიმრობა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მიუხედავათ იმისა, რომ ის აქტიურად გამოიყენება სისხლის სამართალში მაინც საჭიროებს დახვეწას და ქართულ რეალობაზე უშუალოდ მორგებას, რასაც დრო და დიდი გამოცდილება სჭირდება. სასჯელის ამ სახის შემოღებიდან დღემდე ხშირად ხორციელდება ცვლილებები, განვითარება. ის მუდმივად საზოგადოების დაკვირვების ობიექტია, შესაბამისად თემის განხილვა, თავისი შეფასებებითა და რეკომენდაციებით, ვფიქრობ, საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ნაშრომში განხილული იქნება შინაპატიმრობის წარმოშობის ისტორია, სადაც მან თავდაპირველად მოიკიდა ფეხი, მისი ჩამოყალიბება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც რომელსაც, თავის მხრივ, არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. აგრეთვე მისი განვითარების ეტაპები. ამას გარდა, მიმოვიხილავ შინაპატიმრობის ცნებას, არსსა და მნიშვნელობას. საუბარი მექნება შინაპატიმრობის სახეებზე, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემების მიხედვით, და რომელთაც განსხვავებული მიდგომები ახასიათებთ თავისი უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გათვალისწინებით.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი შეეხება საქართველოში შინაპატიმრობის დადგენილი წესების შეფასებას სისხლის სამართლის კოდექსისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, მისი დანიშვნის ვადას, სასჯელის დანიშვნის წინაპირობებს და მის შეზღუდვებს. აგრეთვე, მიმოვიხილავ მისი აღსრულების წესებს, ტექნიკურ მხარეს, ზემოქმედებასა და ეფექტურობას.

ნაშრომის დასასრულს განხილული იქნება სასამართლოს პრაქტიკა შესაბამისი სტატისტიკური ანალიზის დახმარებით.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი ემსახურება იმ მიზანს, რომ უფრო თვალსაჩინოდ წარმოვაჩინო სასჯელის ეს ნოვაციური, ერთობ ჰუმანური და ეფექტური სახე, რომელსაც დიდი დანიშნულება აქვს, როგორც საზოგადოებისთვის, ასევე უშუალოდ ქვეყნისათვის. აგრეთვე, საკითხის აქტუალობა, რომელიც გამუდმებით დავის საგანია საზოგადოების ფართო წრეებში, განაპირობებს მის განხილვის მნიშვნელოვან როლს.

თავი I

შინაპატიმრობის არსი, მნიშვნელობა, წარმოშობა, სახეები, მხარდამჭერი არგუმენტები.

1.შინაპატიმრობის არსი, მნიშვნელობა.

დანაშაულის ჩამდენ პირზე ზემოქმედება ხორციელდება მისდამი სასჯელის დანიშვნის გზით. სასჯელის დანიშვნისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისი შესაბამისი სახისა და ზომის გამოყენებას, რათა ზედმიწევნით ზუსტად აღსრულდეს ის მიზნები რომლებიც მან უნდა შეასრულოს. „სასჯელის მიმართ უსამართლობის განცდამ შესაძლებელია მსჯავრდებულის ფრუსტრაცია გამოიწვიოს და ხელი შეუწყოს მასში სახელმწიფო ორგანოების მიმართ აგრესიის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლის მის რესოციალიზაციას.“ [1] სასჯელის სიმკაცრე არ შეიძლება მივიჩნიოთ მისი მიზნების უკეთ განხორციელების საშუალებად. „სასჯელის ეფექტურობა, არა მისი მკაცრი ხასიათით, არამედ მისი გარდაუვალობით განისაზღვრება. თითოეული დანაშაულის არსს და მიზეზს თუკი ჩავუღრმავდებით დავინახავთ, რომ ის ზოგადად ამგვარი დანაშაულის დაუსჯელობიდან გამომდინარეობს.“ [2] შესაბამისად, ნაკლებად მკაცრმა,

[1] იხ. მორის შალიკაშვილი , ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, თბილისი 2014, გვ 90.
[2]იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994 , გვ 119.

შედარებით ჰუმანურმა სასჯელებმაც უნდა აღასრულოს მისი დანიშნულება. შინაპატიმრობის არსიც სწორედ ამაში მდგომარეობს, რომ მან არათუ მსგავსად, არამედ უკეთ შეასრულოს მისი ის უმნიშნელოვანეს მიზანი, როგორიცაა დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

საპატიმრო სასჯელების შედეგად ხდება მსჯავრდებულის ეტიკეტირება, იგივე „იარლიყის მიკერება", რაც უარყოფითად აისახება და საბოლოოდ მის სტიგმატიზაციას იწვევს. ზემოაღნიშნული გულისხმობს მათ ერთგვარ იზოლაციას საზოგადოებისგან. საპატიმრო სასჯელმოხდილი პირი მრავალ პრობლემას აწყდება ცხოვრებაში, მათ შორის განსაკუთრებულად მწვავეა დასაქმების, განათლების მიღების და სხვა მრავალი პრობლემები. აგრეთვე, მას ემატება ის, რომ საზოგადოება ზურგს აქცევს მათ, რაც მათსავე განვითარებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. ეს განსაკუთრებულად შეიძლება ითქვას არასრულწოვანზე. „მოზარდისთვის ოჯახი არის არა მხოლოდ საკუთარი იდენტიფიკაციის ობიექტი, არამედ მოზარდის საზოგადოებრივი და სოციალური იდენტიფიკაციის ერთგვარი ხიდი."[3] ოჯახი განსაკუთრებით მნიშნელოვანია მისი ზრდა-განვითარებისათვის, ამ მხრივ დიდი როლი ენიჭება როგორც მშობლებსა და შვილებს შორის, ან მშობლებს შორის ურთიერთობას, ასევე ოჯახის შემადგენლობას.[4] შესაბამისად არასრულწლოვნის ოჯახისგან მოწყვეტა საკმაოდ მძიმე შედეგებს გამოიწვევს. შინაპატიმრობა სწორედ აქ ავლენს მის მნიშვნელობას.

არსებობს მოსაზრება, რომ სასჯელის ეს სახე საშუალებას აძლევს მის ადრესატს აირიდოს სტიგმატიზაცია. ასევე, მისსავე სოციალურ წრეში დარჩენითა და მუშაობის გაგრძელებით თავად შექმნას მატერიალური დოვლათი. რაც, თავის მხრივ, გადასახადის გადამხდელს შეუმსუბუქებს ტვირთს, რომლითაც ხდება პატიმართა რჩენა პენიტენციურ დაწესებულებებში. პირიქით, მსჯავრდებული გადაიხდის შესაბამის გადასახადს.[5]

---

[3] იხ. შალიკაშვილი მ, კრიმინოლოგია, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი 2017, გვ 146.

[4] იქვე

[5] იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი" თბილისი 2016 , გვ 697.

მაია ივანიძის აზრით შინაპატიმრობის ეფექტურობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, ვინაიდან მის არსებობას ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში მცირე დროის ისტორია აქვს. მიუხედავათ ამისა, მისივე აზრით, უშუალოდ ამ სასჯელის მოთხოვნების გათვალისწინებითა და გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების რეკომენდაციის შესაბამისად არასრულწლოვანზე ზემოქმედების მსუბუქ ღონისძიებად ვერ მივიჩნევთ.[6]

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ შინაპატიმრობა საპატიმრო სასჯელებისგან განსხვავებით აშკარად ჰუმანური და ნაკლებად მკაცრია. მისი შექმნის არსიც სწორედ ამაში მდგომარეობს, რომ დაიცვას დანაშაულის ჩამდენი პირი სტიგმატიზაციისგან, რომელიც პატიმრობის შემთხვევაში გარდაუვალია. განსაკუთრებით არასრულწლოვნთან მიმართებით, რომელსაც მთელი ცხოვრება წინ აქვს და ადრეულ ასაკში „მიკერებული იარლიყი“ მნიშნელოვნად იმოქმედებს მასზე. გარდა ზემოაღნიშნულისა, შინაპატიმრობის არსი გულისხმობს აგრეთვე იმ უარყოფითი ზეგავლენისგან თავის არიდებას , როგორიცაა პატიმრობის სტრესი. „ცნობილია, რომ პენიტენციუს სისტემაში ყოფნა დაკავშირებულია გახანგრძლივებულ სტრესთან.“ [7] ეს კი უარყოფითად მოქმედებს ნებისმიერი პირის ფსიქიკურ მდგომარეობაზე.

2. შინაპატიმრობის წარმოშობა, განვითარება საქართველოში.

შინაპატიმრობის წარმოშობა თავდაპირველად განპირობებული იყო იმით, რომ მსჯავრდებულთა დიდ რაოდენობას ვეღარ იტევდა პენიტენციური დაწესებულებები. „მისი მიზანი გადატვირთული ციხეების განტვირთვა იყო.“ [8] შესაბამისად დღის წესრიგში იდგა საკითხი, რომელიც სასჯელის მოხდას ციხის ტერიტორიის გარეთ მოახდენდა, განსაზღვრული სიმძიმის დანაშაულის ჩამდენი

---

[6] იხ. მაია ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016, გვ 353.

[7] მაია ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016, გვ 352.

[8]იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016, გვ700.

პირების შემთხვევაში, რომელთა მიმართ, ერთგვარი ნდობა, შედარებით მაღალი იყო.

შინაპატიმრობა, როგორც განსაზღვრული სასჯელი ისტორიულ წარსულშიც გამოიყენებოდა, რომლითაც 1600 წელს დასაჯეს გალილეო გალილეი. მისი აქტიური გამოყენება კი კავშირშია თანამედროვეობისა და შესაბამისი ტექნოლოგიების განვითარებასთან, რომელიც XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში განხორციელდა.[9]

თავდაპირველად ელექტრონული მონიტორინგის მოწყობილობის შექმნის იდეა მოტივირებული იყო, რომ შეეცვალა საპატიმრო სასჯელი. ამ მექანიზმის გამოგონება უკავშირდება ჰარვარდის ფსიქოლოგ რალფ შვიტცგებელს. მან 1960 წელს მიიღო მოწყობილობის მუშა ვარიანტი, რომელიც 20 წლის განმავლობაში მუდამ იცვლებოდა, რათა მისი გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო. ეს პროგრამა თავიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში გაიცნეს, როგორც ზედმეტად მკაცრი ზედამხედველობის საშუალება და გამოიყენებოდა ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისთვის. ასევე, იმ საეჭვო პირების მიმართ, რომლებიც პოტენციურ დამნაშავეებს წარმოადგენდნენ.[10]

ელექტრონული ზედამხედველობის შესახებ კანონი მიღებული იქნა 1968 წელს. რაც შეეხება იდეას, პირველად ის 1979 წელს ნიუ-მექსიკოში განხორციელდა. თუმცა, მისი ცუდი შედეგების გამო იმ პერიოდისთვის პოპულარობა დაკარგა.[11]

„ელექტრონული მონიტორინგი აშშ-ის მოქნილმა სამართლის სისტემამ ადრეულ ეტაპზე აითვისა. ელექტრონული მონიტორინგი პირველად 1983 წელს გამოიყენეს, როდესაც ჯეკ ლოვმა, ნიუ მექსიკოს შტატის, ქალაქ ალბუკერკეს საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ კომპიუტერული ტექნოლოგიის

---

[9]იხ. ქეთევან მჭედლიშილი-ჰედიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი 2017. გვ 63.

[10]იხ. თამარ მახარობლიძე , ელექტრონული ზედამხედველობა , როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში, მაია ივანიძე - 50 საიუბილეო კრებული , გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი 2017, გვ 20.

[11]იხ.მაკა გორგოძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზოგიერთი სადავო საკითხი. მართლმსაჯულება და კანონი, 2018 N1, გვ 48.

დილერი დაარწმუნა შეემუშავებინა სისტემა 5 მსჯავრდებულზე ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით. თავდაპირველად სისტემა მხოლოდ სახლში გამოიყენებოდა , ვინაიდან მას ფიქსირებული სატელეფონო ხაზები სჭირდებოდა. მოგვიანებით, 1990-იან წლებში მობილურმა მოწყობილობებმა და ინტერნეტ კავშირმა შესაძლებელი გახადა ზედამხედველობა განხორციელებულიყო არა მხოლოდ სახლში, არამედ ნებისმიერ ადგილას, სადაც მსჯავრდებული გადაადგილდებოდა."[12]

ცალკე ისტორია აქვს შინაპატიმრობის არასრულწლოვნის მიმართ დანიშვნას. „მოსაზრება ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობის გამოყენების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში 1971 წელს გამოითქვა. შინაპატიმრობის ამ სახის განვითარებას გასული საუკუნის 80 იანი წლებში ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა განსაკუთრებულმა კრიმინოგენულმა მდგომარეობამ. ამ პერიოდისათვის ამერიკის შეერთებული შტატების არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების, გამასწორებელ დაწესებულებებსა და უსახლკარო არასრულწლოვნების თავშესაფრებში 51 000, ზრდასრულთა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში კი 500 000 არასრულწლოვანი იყო მოთავსებული. გადატვირთულ ციხეებში თვითგადაჩენის მიზნით არასრულწლოვნები ბანდებს ქმნიდნენ და მათი რესოციალიზაცია ამიტომაც შეუძლებელი ხდებოდა. მაღალი იყო ზრდასრულთა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მოთავსებულ არასრულწლოვანთა სიკვდილიანობისა და თვითმკვლელობის მაჩვენებელი."[13]

რაც შეეხება ევროპას, აქ სასჯელის ამ სახემ ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით მოგვიანებით მოიკიდა ფეხი. ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობა არასრულწლოვნებში 1989 წელს დაინერგა დიდ ბრიტანეთში.[14]

---

[12]იხ.გიორგი არსოშვილი, გივი მიქანაძე, მორის შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი 2015, გვ153.

[13]იხ. ქეთევან მჭედლიშილი-ჰედიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი 2017 გვ 63.

[14]იხ. ქეთევან მჭედლიშილი-ჰედიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი

საქართველოში შინაპატიმრობის ინსტიტუტი 2015 წლის 1 -ლი სექტემბრიდან ამოქმედდა. თავდაპირველად სასჯელის ეს სახე გამოიყენებოდა მხოლოდ არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. შინაპატიმრობამ დადებითი ეფექტი მოგვცა სასჯელაღსრულების სისტემაში, რადგან არასრულწლოვნების ციხის კედლებიდან თავის არიდებამ რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის უკეთესი შედეგი აჩვენა. შემდგომ, უკვე 2018 წლის 1-ლი იანვრიდან შინაპატიმრობა ამოქმედდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც, შესაბამისად სრულწლოვან პირთა მიმართაც. მიუხედავად იმისა, რომ შინაპატიმრობის სრულწლოვან პირთა მიმართ გამოყენებას მცირე დროის ისტორია აქვს, მაინც არსებობს გარკვეული მონაცემები, რომელიც აშკარად მიუთითებს ამ სასჯელის ეფექტურობას, არა მხოლოდ არასრულწლოვან, არამედ სრულწლოვან პირთა შემთხვევაში, რაზეც ნაშრომის ბოლოს მექნება საუბარი და განვიხილავ შესაბამის სასამართლო პრაქტიკასა და სტატისტიკას.

3.შინაპატიმრობის სახეები.

შინაპატიმრობა, როგორც სახლიდან გაუსვლელობის, სახლში დაპატიმრების ამსახველი სასჯელი, პირს ეკისრება განსაზღვრული ვადითა და შესაბამისი შეზღუდვებით, რომელიც განსხვავებულია ყოველი ინდივიდუალური პირის მიმართ.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში,რომელიც წარმოადგენს ელექტრონული მონიტორინგის სამშობლოს განასხვავებენ შინაპატიმრობის სამ ფორმას:

- CurFew(მსუბუქი ფორმა)- თავისუფლების შეზღუდვის ამ ფორმის დროს დამნაშავე ვალდებულია წინასწარ განსაზღვრული დროის მონაკვეთში სახლში იმყოფებოდეს. ამ ფორმის გამოყენების დროს ძირითადი

ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი 2017 გვ 63.

აკრძალვები მოდის ღამის საათებზე. ამ ფორმის გამოყენება ხდება თერაპიულ კურსზე სიარულის ან ჯარიმის გამოყენებასთან ერთად.

- Home Detention (მძიმე ფორმა) - შინაპატიმრობის პირველ ფორმასთან შედარებით ეს ფორმა უფრო მკაცრია. შინაპატიმრობის ამ ფორმის დროს მისჯილი ვალდებულია იყოს სახლში. გამონაკლისია სწავლის, სამუშაოს ან თერაპიულ კურსზე სიარული. წინასწარ დადგენილი გეგმის მიხედვით მსჯავრდებულს უფლება აქვს სახლი დატოვოს.
- Home Incarceration(მძიმე ფორმა) - შინაპატიმრობის ამ ფორმის დროს მისჯილს უფლება არა აქვს დატოვოს სახლი. სახლი არის ციხე. ასეთ მსჯავრდებულს არ შეუძლია არც სახლიდან გასვლა, არც მუშაობა და არც სტუმრების მიღება."[15]

როგორც ზემოაღნიშნული სახეებიდან ჩანს, საქართველოში გავრცელებული შინაპატიმრობის შემთხვევაში სახეზე გვაქვს მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე ფორმა. არასრულწლოვანთა შემთხვევაში კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ „არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს , რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს".[16] შესაბამისად მსჯავრდებულს უფლება აქვს დატოვოს სახლი განსაზღვრულ შემთხვევებში, რაც უტოლდება შინაპატიმრობის მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე ფორმას. ხოლო სრულწლოვანის შემთხვევაში ეს დანაწესები არა გვაქვს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ შინაპატიმრობის მძიმე ფორმას არ იცნობს ჩვენი კანონმდებლობა, რადგან სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს იმ შეზღუდვებს, რაც ზემოაღნიშნული, Home Incarceration(მძიმე ფორმა), მოიცავს თავის თავში. ამის გათვალისწინებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სახეზეა შინაპატიმრობის ნაკლებად მძიმე ფორმა.

4.შინაპატიმრობის მხარდამჭერი არგუმენტები.

[15]იხ. შალიკაშვილი მ. მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა. თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016 . გვ 136.

[16] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 69-ე მუხლი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47'-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით შინაპატიმრობა ეს არის, შესაბამისად, მსჯავრდებულისთვის/არასრულწლოვნისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრება.[17][18] მოცემული კანონის დანაწესიდან გამომდინარე, მარტივად რომ ვთქვათ, პირი სასჯელს იხდის საკუთარ სახლში ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით, და არა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. აქედან გამომდინარე ის მოწყვეტილია იმ გარემოს, სადაც მაღალია ალბათობა იმისა, რომ მოხდება პირის ფსიქოლოგიური დეგრადაცია, განსაკუთრებით არასრულწლოვნის შემთხვევაში, რომელიც ამ მხრივ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია.

შინაპატიმრობის მხარდამჭერი არგუმენტებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- კრიმინოლოგიური ასპექტი.

კრიმინოლოგიურო ასპექტიდან შესაძლებელია გამოვყოთ ორი ფაქტორი: 1)კრიმინალური დასნებოვნების თავიდან აცილება. 2) სტიგმატიზაციის თავიდან აცილება. "შინაპატიმრობა საპატიმრო სასჯელის ჰუმანური და როგორც მსჯავრდებულის, ასევე სახელმწიფოსათვის უფრო მისაღები ალტერნატივაა. სასჯელის ამ სახის გამოყენებისას პირი მუშაობას ან სწავლას აგრძელებს და მატერიალურ სიკეთეს ან თავისი მომავალი ცხოვრებისთვის ცოდნის ბაზისს ქმნის. ამგვარად, თავიდან იქნება აცილებული „კრიმინალური დასნებოვნება". [19] "თავისუფლების აღკვეთას ახლავს ე.წ. პატიმრობის სტრესი, რომელიც ფსიქოლოგიურად დიდხანს ტოვებს თავის კვალს. ამდენად ალტერნატიული სასჯელი გარკვეულწილად ამ სტრესისგან ათავისუფლებს მსჯავრდებულს.

[17] სისხლის სამართლის კოდექსი 47' მუხლი.

[18] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 69-ე მუხლი.

[19] იხ. ქეთევან მჭედლიშილი-ჰედიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი 2017. გვ62.

ალტერნატიული სასჯელის შემთხვევაში პატიმრის სტრესთან დაკავშრებული პრობლემებისგან თავისუფლდებიან თავად პატიმრის ოჯახის წევრები."[20]

რაც შეეხება სტიგმატზაციის თავიდან აცილებას, მიუხედავათ იმისა, რომ ელექტრონული მონიტორინგის გამოყენებისას შინაპატიმრობის სუბიექტს კიდურებზე აქვს დამაგრებული ელექტრონული მოწყობილობა, სამაჯური, რაც მას ააშკარავებს სხვა ადამიანებისთვის, როგორც მსჯავრდებულს. ეს კი ზრდის მისი სტიგმატიზაციის რისკს [21] , სასჯელის ციხეში ან სხვა არმზრდელობით დაწესებულებაში მოხდის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ეს რისკი გაცილებით მეტია. ამის შესაბამისად, შესაძლოა შინაპატიმრობის უარყოფით მხარეზე აქცენტის გადატანა და სასჯელის უარყოფით კონტექსტში განხილვა, თუმცა თუ მას შევადარებთ იმ ასპექტებს, რომლებიც საპატიმრო სასჯელების შემთხვევაში იქნება სახეზე, აშკარაა შინაპატიმრობის უპირატესობა. მით უმეტეს, თუ სახეზე გვყავს არასრულწლოვანი, რომელსაც განსაკუთრებული მოპყრობა სჭირდება, სასჯელის შესაბამისი სახისა და ზომის გამოყენებასთან დაკავშირებით.

- ეკონომიური ასპექტი.

შინაპატიმრობის, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივის ეკონომიური უპირატესობა ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ზოგადი თვალსაზრისით, შინაპატიმრობის ჰუმანურმა მიზანმა უნდა გადაწონოს მისი ეკონომიური მხარე, თუმცა აშშ-ში ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების უმნიშვნელოვანესი მიზნიდან სწორედ ეს ეკონომიური მიზანი სახელდება და არა ჰუმანური. „შინაპატიმრობისას პირი სახელმწიფოს (გადასახადის გადამხდელს) არ აწევს ტვირთად და ხშირად მსჯავრდებულის ოჯახსაც შედარებით ნაკლები მატერიალური დანახარჯები წარმოექმნება."[22]

---

[20] მაია ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი" თბილისი 2016, გვ 365.

[21] იხ.გიორგი არსოშვილი, გივი მიქანაძე, მორის შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი 2015 გვ 166.

[22] იხ. ქეთევან მჭედლიშილი-ჰედიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1 2017, გვ 62.

„ევროპაში პატიმრის ციხეში ყოლა დაახლოებით ხუთჯერ უფრო ძვირია, ვიდრე მათი მეთვალყურეობა საზოგადოებაში. ელექტრონული მონიტორინგის საქმეების ყოველდღიური საშუალო ხარჯი ტრადიციული მეთვალყურეობის ხარჯის-დაახლოებით 10-20 % ია.“ [23] „გერმანიაში ელექტრონული კონტროლი სახელმწიფოს 36 ევრო უჯდება, პატიმრის შესანახად კი სახელმწიფო საშუალო სტატისტიკური მონაცემით 100 ევროს გაიღებს. აშშ-ში ელექტრონული სამაჯური დღეში 7 დოლარი ჯდება, ერთი პატიმრის შენახვა კი - 35 დოლარი.“[24] რაც შეეხება საქართველოს, „წინასწარი მონაცემებით, ელექტრონული სამაჯურის ღირებულება დღეში საპატიმრო სასჯელის აღსრულების 1/3 იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში ერთი პატიმრის შენახვა სახელმწიფოს 31 ლარი უჯდება, გამოდის, რომ ელექტრონული სამაჯური სახელმწიფოს დაახლოებით 10 ლარი უნდა დაუჯდეს.“ [25] ასევე აღსანიშნავია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც „მინისტრთა კომიტეტი იზიარებს რა, რომ თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ეჭვმიტანილთა თუ დამნაშავეთა უმეტესობას ეფექტიანი და ნაკლები დანახარჯებით უნდა მიხედონ საზოგადოებაში.“[26]

ამრიგად, ეკონომიური თვალსაზრისით შინაპატიმრობა მართლაც რომ მისაღები ალტერნატივაა, არა მხოლოდ სახელმწიფოსთვის, არამედ უშუალოდ ბრალდებულისთვის, მისი ოჯახისთვის. პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის დროს ბრალდებულზე იხარჯება მთელი რიგი სახელმწიფო რესურსები, სახლში ყოფნის დროს კი, არა მხოლოდ თავიდან იქნება აცილებული ეს ხარჯები, არამედ პირიქით , ის სახელმწიფოს გადაუხდის შესაბამის გადასახადს, რომელიც სასჯელის აღსრულებისთვის განკუთვნილი აპარატურის მოხმარება ითვალისწინებს, ასევე მსჯავრდებული თავად შექმნის მატერიალურ სიკეთეს.

---

[23] იხ.გიორგი არსოშვილი, გივი მიქანაძე, მორის შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი 2015 გვ 165.

[24] იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016, გვ 709.

[25] იქვე.

[26] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No R(2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ. ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული, გვ 161.

- პენიტენციური დაწესებულებების განტვირთვა.

ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომხრე არგუმენტად გადატვირთული ციხეების განტვირთვა მოჰყავთ. „დამოუკიდებელი კვლევების თანახმად დადგინდა, რომ ელექტრონული მონიტორინგი შეიძლება და უნდა გამოიყენებოდეს საზოგადოებრივი სასჯელის და პრობაციის დეფიციტის კონტროლის შემცირებაში. მან ხელი უნდ შეუწყოს CSMs -ს (კომუნიკაციების მხარდაჭერის მოდულებს), გააუმჯობესოს მათი სანდოობა სასამართლოებში და ამგვარად შეამციროს ციხის გამოყენება.“ [27] აგრეთვე აღსანიშნავია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ გარკვეული დანაშაულების დეკრიმინალიზაციის ან მათი ხელახლა კვალიფიცირების შესაძლებლობები ისე, რომ სანქციებად არ ხდებოდეს თავისულფვების აღკვეთს გამოყენება. აგრეთვე, იმისათვის, რომ მოხდეს შესაბამისი სტრატეგიის განსაზღვრა ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის საწინააღმდეგოდ, უნდა ჩატარდეს დეტალური ანალიზი ძირითადი ფაქტორების თაობაზე რომელიც ძირითადად შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა დანაშაულის სახეები, რომელთაც სასჯელად მოჰყვება გრძელვადიანი პატიმრობა.“ [28] აქედან გამომდინარე სავარაუდოა, რომ შინაპატიმრობის გამოყენება როგორც არასრულწლოვნების, ასევე სრულწლოვნების შემთხვევაში შედეგად მოიტანს გადატვირთული ციხეების განტვირთვას. 2012 წლისათვის ამერიკის ციხეებში პატიმართა რაოდენობა ელექტრონული სამაჯურის გამოყენების მიუხედავად 2,1 მილიონს შეადგენდა. პატიმართა რაოდენობა 2,8%- ით მეტი იყო წინა წელთან შედარებით. ყოველ წელს ამერიკაში ელექტრონული ზედამხედველობა 450 000-ჯერ ინიშნება. ძნელია თქმა იმისა, თუ რამდენი პატიმარი იქნებოდა აშშ-ის ციხეებში ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების გარეშე. რაც შეეხება საქართველოს, ამ მხრივ სრულწლოვანი მსჯავრდებულების შემთხვევაში სტატისტიკური მონაცემები ჯერ-ჯერობით მწირია, რადგან შინაპატირობა სისხლის სამართლის კოდექსში 2018

[27] იხ.გიორგი არსოშვილი, გივი მიქანაძე, მორის შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი 2015 გვ 165.

[28] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N R(99) 22 ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, გვ 49.

წლის 1 იანვარს შემოვიდა ძალაში, ხოლო არასრულწლოვნების შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, მაგალითად, 2016 წელს სულ სახეზე იყო 146 არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელთაგან 46-ს სასჯელის სახედ დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მხოლოდ 9 არასრულწლოვნის მიმართ იქნა გამოყენებული შინაპატიმრობა, რაც პროცენტულად მხოლოდ 6,2 % -ს შეადგენდა. „თუმცა, არსებობს საწინააღმდეგო მონაცემები, შვედეთში 1994 წელს კანონით მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად ელექტრონული ზედამხედველობა დაწესდა. შვედეთი მსოფლიოს ერთადერთი ქვეყანაა,სადაც ელექტრონულმა სამაჯურმა მისი ფუნქცია შეასრულა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ციხეებში პატიმართა რაოდენობა შეამცირა.“[29]

- სოციოლოგიური ასპექტი.

სოციოლოგიურ ასპექტში შესაძლებელია გამოვყოთ რამოდენიმე ფაქტორი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ შინაპატიმრობის გამოყენებისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს არასრულწლოვანთან. კერძოდ, ეს ფაქტორებია: ინტეგრაციის გაუმჯობესება, როგორც თანატოლებთან(უმეტესად არასრულწლოვნის შემთხვევაში), ასევე ოჯახის წევრებთან და რესოციალიზაციის ხარისხი.

არასაპატიმრო სასჯელის შემთხვევაში პიროვნებას აქვს საქმიანობის უფლება, რაც რესოციალიზაციის საფუძველია. ზემოაღნიშნული პირდაპირ გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, რომლის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით „არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს , რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.“[30] აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ შინაპატიმრობა არის სასჯელის ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური ფორმა, რადგან მსჯავრდებულს აქვს საშუალება იყოს თავის ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან და მათი საშუალებით გამოსწორდეს.

[29] იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016, გვ 711.

[30] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მუხლი 69-4.

შესაბამისად, რესოციალიზაციის ხარისხი გაცილებით მეტია ვიდრე თავისუფლების აღკვეთის დროს.

„გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი სასჯელების გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული მენტალობის პრობლემებთან. კერძოდ, თითოეულ მსჯავრდებულს განათლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დონის ამაღლების გარდა შესაძლებელია დახმარება გავუწიოთ მათ ჩართვას მიმდინარე პროცესებში. აქტიურად უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საზოგადოების სექტორის ჩართვა მიმდინარე პროცესებში.“ [31] „ამ საკითხზე ყურადღებას გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოც ამახვილებს და მიუთითებს, რომ რესოციალიზაციისთვის მხოლოდ ელექტრონული სამაჯურის გამოყენება არ არის საკმარისი. აუცილებელია მათი სოციალურ პროგრამებში ჩართვა.“ [32] „კვლევის შედეგად დადებითად შეფასდა ასევე ის ფაქტიც, რომ შინაპატიმრობამ მშობლებსა და არასრულწლოვანს შორის კომუნიკაციას შეუწყო ხელი, ასევე შესაძლებელი გახდა შესაბამისი ორგანოების მიერ მშბლებთან კონტაქტის დამყარება და მშობლებსა და შვილებს შორის არსებული იმ პრობლემების აღმოფხვრა, რომელიც შესაძლოა არასრულწლოვანის დევიანტური ქცევის მიზეზი იყოს.“[33]

ამრიგად, შინაპატიმრობის კრიმინოლოგიური, სოციოლოგიური და ეკონომიური ასპექტები, ცალსახად, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს სასჯელის ამ სახეს საპატიმრო სასჯელებთან შედარებით. მიუხედავათ იმისა, რომ, შესაძლოა, შინაპატიმრობას აქვს მისი უარყოფითი მხარეები, რომელიც გულისხმობს გარკვეულ სტიგმატიზაციის რისკს, განსაკუთრებით არასრულწლოვნის შემთხვევაში, ის მაინც შეიძლება ჩაითვალოს სასჯელების ჰუმანიზაციის მნიშვნელოვან ნაწილად და გადაწონოს ის მცირედი, თუმცა

[31] მაია ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016, გვ 366.

[32] იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016, გვ 711.

[33] იხ. ქეთევან მჭედლიშილი-ჰედიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1 2017, გვ 68.

არსებული უარყოფითი მხარეები, რომლებიც ეჭქვეშ აყენებს მის ვარგისიანობას. თუ მოცემულ რისკებს შევადარებთ ციხის პირობებში არსებულ რისკებს, მაშინ უარყოფით მხარეებზე საუბარიც აღარ იქნება და მისი განსაკუთრებული მნიშნელობაც ეჭვქვეშ აღარ დადგება.

თავი II

შინაპატიმრობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით.

1.შინაპატიმრობის ცნება.

საქართველოში შინაპატიმრობის ინსტიტუტი განსაზღვრულია, როგორც სისხლის სამართლის, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. მოცემულ საკანონმდებლო აქტებში შინაპატიმრობის ცნება ფაქტობრივად იდენტურია. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდქსის 47'-ე მუხლის, პირველი ნაწილის მიხედვით „შინაპატიმრობა ნიშნავს

მსჯავრდებულისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას.“[34] ხოლო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „შინაპატიმრობა ნიშნავს არასრულწლოვნისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას.“ ამ ცნებების გათვალისწინებით შინაპატიმრობის არსი ერთნაირი მნიშვნელობისაა, როგორც სრულწლოვანი, ასევე არასრულწლოვანი პირების მიმართ.

შინაპატიმრობა, როგორც არაერთხელ გაჟღერებულა, თანამედროვეობის მნიშვნელოვანი მიღწევაა სასჯელთა ჰუმანიზაციის კუთხით. შინაპატიმრობა სიტყვა-სიტყვით რომ განვმარტოთ გულისხმობს შინ, საკუთარი სახლის კედლებში თავისუფლების ლიბერალურ აღკვეთას, იგივე პატიმრობას. ზემოაღნიშნული, არასრულწლოვანთა შემთხვევაში, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი აღზრდის მეთოდი, არა სახელმწიფოს მიერ გამოყენებული, არამედ მშობლის მიერ შვილის მიმართ, როდესაც ბავშვს სახლიდან გასვლის აკრძალვით, როგორც ერთგვარი პრევენციული ღონისძიებით, ეზღუდება გარეთ გადაადგილება. გარდა სკოლაში სიარულის უფლებისა. თუმცა, ეს აღზრდის მეტად მძიმე სახედ შეიძლება მივიჩნიოთ. შესაბამისად, მსგავსი მეთოდის გამოყენება მკაცრად უნდა შეიზღუდოს, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მცირე დროით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და მხოლოდ იმ შემთხვევებში როდესაც რაიმე საფრთხეა მოსალოდნელი არასრულწლოვნის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვის უფლებები უხეშად დაირღვევა, იგი ოჯახური ძალადობის ფორმას მიიღებს და მას დიდ სულიერ ზიანს მიაყენებს. რაც , თავის მხრივ, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველიც შეიძლება გახდეს.[35]

შინაპატიმრობის, მიზანი, როგორც სხვა სასჯელების შემთხვევაში არ უნდა იყოს რაიმე ზიანის მიყენება პირისთვის, არამედ მისი მიზანი სულ სხვაა, კერძოდ საპატიმრო სასჯელების უარყოფითი ფსიქიკური ზემოქმედებისა და

[34] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლი 47’-1.

[35] იხ. ქეთევან მჭედლიშილი-ჰედიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1 2017, გვ 62.

სტიგმატიზაციის თავიდან აცილება, სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, ასევე არასრულწლოვნის შემთხვევაში მისი ადგილსამყოფელის შემოწმებით კრიმინალურად დატვირთული ადგილების მონახულების თავიდან აცილება და სკოლაში რეგულარულად სიარულის კონტროლი.[36]

ამასთან მიმართებით მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ დამნაშავეთა უმეტესობას ეფექტიანად და ნაკლები დანახარჯებით უნდა მიხედონ საზოგადოებაში. თავისუფლების აღკვეთა კი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.[37] ეფექტიანობა სწორედაც რომ მისდამი ლიბერალურ მიდგომაში მდგომარეოს, ხოლო ნაკლები დანახარჯებთან მიმართებით, რა თქმა უნდა, შინაპატიმრობა უპირობო ალტერნატივაა საპატიმრო სასჯელებთან შედარებით.

შინაპატიმრობის ცნებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია რამოდენიმე ასპექტი. როგორც საკანონმდებლო განმარტებებშია აღნიშნული შინაპატიმრობა მსჯავრდებულს/არასრულწლოვანს ენიშნება დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში. ძირითად შემთხვევაში, თუ სასამრთლო პრაქტიკასაც გავითვალისწინებთ, ეს შეზღუდვები საღამოს, ღამის საათებში მოდის. ლოგიკურიცაა, დანაშაულს პირი, უმეტეს შემთხვევაში მაშინ იდენს, როდესაც შესუსტებულია მასზე საზოგადოების, სხვა პირების მხრიდან კონტროლი, ანუ ღამის საათებში. ზემოაღნიშნული განსაკუთრებით შეიძლება ითქვას არასრულწლოვანზე. შინაპატიმრობა არ უნდა გულისხმობდეს პირის 24 საათის განმავლობაში სახლში ყოფნას. მოსამართლე მსჯავრდებულის/არასრულწლოვნის ყოველდღიური ცხოვრებიდან გამომდინარე განუსაზღვრავს იმ საათებს როდესაც ვალდებულება ექნება სახლში ყოფნის, დანარჩენ დროს კი ის თავისუფალია. მიუხედავათ ამისა ეს სასჯელი მაინც გარკვეული რისკის შემცველია და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ამ პრობლემის

[36] იქვე.

[37] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NO.R(2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015წ. გვ. 161

მოგვარება კი საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრით უნდა დავიწყოთ, განმარტავს თამარ მახარობლიძე.[38]

დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში მსჯავრდებულის/არასრულწლოვნის სახლში ყოფნას აქვს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამერიკის შეერთებულ შტატებში შინაპატიმრობის აღსრულებაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ არასრულწლოვანთა ნაწილს განსაკუთრებული ფსიქიკური პრობლემები წარმოეშობოდა 24 საათის განმავლობაში სახლში ყოფნით. ამასთან დაკავშირებით ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი ამბობს, რომ მოცემული სასჯელი კონტრაპროდუქტიულია და მასზე დაკისრებულ ფუნქციას ვერ შეასრულებს.[39] არასრულწლოვანთან შედარებით მცირე, თუმცა არანაკლები პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს, ამ მხრივ, სრულწლოვან პირთა შემთხვევაშიც, რადგან მუდამ სახლში ყოფნა ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის საკმაოდ მძიმეა.

აგრეთვე, არსებობს მოსაზრება, რომ შინაპატიმრობის შეფარდება ახალი დანაშაულის ჩადენის საფუძველი შეიძლება გახდეს, მაგალითად, ოჯახში ძალადობის. მსჯავრდებულთან ერთად აგრესიას იწვევს ოჯახის წევრის მხრიდან სახლში მუდმივად ყოფნა, მისი დამნაშავის სტატუსი და სხვა.[40] შესაბამისად, ეს უარყოფითი კონტექსტი საეჭვოს ხდის სასჯელის ამ ინსტიტუტის მაღალ ეფექტურობას.

თუმცა დადებითად თუ შევხედავთ, ასევე კვლევით შეფასდა, რომ შინაპატიმრობამ მშობელსა და არასრულწლოვანს შორის კომუნიკაციას შეუწყო ხელი, რამაც არაერთი პრობლემის აღმოფხვრა შეძლო, მათ შორის, იმ

---

[38] იხ. მახარობლიძე თ, სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2017. გვ 53.

[39] იხ. ქეთევან მჭედლიშილი-ჰედიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1 2017, გვ 67.

[40] იხ. მახარობლიძე თ. ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში, მზია ლეკვეიშვილი 85- საიუბილეო კრებული, თბილისი 2014, გვ 54

პრობლემის, რომელიც შესაძლოა არასრულწლოვნის დევიანტური ქცევის მიზეზი შეიძლება იყოს.[41]

დადებითი კუთხით ასევე თუ ერთმანეთს შევადარებთ სახლში 24 საათიან ყოფნას ციხეში ყოფნას, უპირობოდ ამგვარმა შინაპატიმრობამ უპირატესობა უნდა დაიმსახუროს. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს თამარ მახარობლიძე, რომლის აზრითაც სასამართლოს უნდა შეეძლოს გამოიყენოს შინაპატიმრობის ისეთი ფორმები, რომელიც გულისხმობს 24 საათიანი სახლში ყოფნის ვალდებულებას, გარდა გადაუდებელი სამედიცინო პროცედურებისა და სასამართლოსა და პრობაციაში გამოცხადების შემთხვევებისა, ანუ აბსოლუტურ შინაპატიმრობას. მისი აზრით ეს გაფართოვება უფრო უკეთეს შედეგებს მოგვიტანს, რადგან მოსამართლეს უფრო მეტი ლავირების შესაძლებლობა ექნება გამოიყენოს სასჯელის ეს სახე, იმის გათვალისწინებით, რომ თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული უნდა იყოს როგორც უკიდურესი საშუალება. [42] ვფიქრობ, რომ არასრულწლოვნის ციხის კედლებიდან აცილება ყველაზე მნიშვნელოვანია, თუმცა 24 საათის განმავლობაში სახლში ყოფნა მეტად დასაკვირვებელია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაანალიზდეს რამდენად შედეგის მომტანი იქნება ამგვარი გაფართოებული შინაპატიმრობის გამოყენება. რაც შეეხება სრულწლოვანს, საქართველოს კანონმდებლობა უშვებს შინაპატიმრობის ისეთ შემთხვევას როდესაც პირი უწყვეტად უნდა იმყოფებოდეს საცხოვრებელ სახლში.

ზემოაღნიშნული დადებითი და უარყოფითი მხარეების გათვალისწინებით საკმაოდ რთულია იმ ოქროს შუალედის ძებნა რომელიც დადებით შედეგს მოიტანს შინაპატიმრობის დღე-ღამის შესაბამისი დროის არჩევასთან დაკავშირებით. მოსამართლემ თავდაპირველად უნდა გააანალიზოს თუ რამდენად მიზანშეწონილია სასჯელის ამ სახის დანიშვნა, შემდგომ კი უშუალოდ პირის ინდივიდუალური ცხოვრებისეული გარემოებების გათვალისწინებით

[41] იხ. მახარობლიძე თ. ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში, მზია ლეკვეიშვილი 85- საიუბილეო კრებული, თბილისი 2014, გვ 54.

[42] მახარობლიძე თ. შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში. გურამ ნაჭყებია - 75 : საიუბილეო კრებული. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2016 გვ. 283.

განუსაზღვროს ის პერიოდი როდესაც სახლში დარჩენის ვალდებულება წარმოეშობა. შესაძლოა პირზე ოჯახური გარემო უარყოფით გავლენას ახდენდეს ან, მაგალითად, არასრულწლოვნის შემთხვევაში მშობელი არ ზრუნავდეს შესაბამისად მასზე, ამ შემთხვევაში დიდი დაკვირვება არის საჭირო, არა მხოლოდ საათობრივ შეზღუდვაზე, არამედ უშუალოდ სასჯელის ამ სახის დანიშვნა-არდანიშვნაზე. აგრეთვე შესაძლოა პირი სრულიად მარტო ცხოვრობდეს სახლში და ამ შემთხვევაში გაცილებით დიდ უარყოფით ეფექტს მოგვცემს ეს სასჯელი. სწორედ ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებში ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, რომ „რამდენადაც შესაძლებელია, უნდა გამოვრიცხოთ ელექტრონული მონიტორინგი, რომელიც ითვალისწინებს დამნაშავის მუდმივად ყოფნას მის საცხოვრებელ ადგილას დატოვების უფლების გარეშე, რათა პირის მარტოდ ცხოვრების შემთხვევაში თავიდან ავიცილოთ იზოლაციის ნეგატიური ეფექტი.“ [43] ეს რეკომენდაცია, კი პირდაპირ კავშირშია და უშუალო წინააღმდეგობაში მოდის აბსოლუტურ შინაპატიმრობასთან, რაც, ვფიქრობ მართებულია. შინაპატიმრობა, არა მხოლოდ თავისი არსით, არამედ მისი პირობებითაც ჰუმანური, ლოიალური უნდა იყოს და რაც შეიძლება ნაკლები უარყოფითი ზეგავლენა გამოიწვიოს მისი ადრესატის მიმართ.

კანონით განსაზღვრული შინაპატიმრობის ცნებაში, ასევე, მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ ეს სასჯელი გულისხმობს თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულებას. შესაძლებელია, რომ პირს, როგორც ზრდასრულს, ასევე არასრულწლოვანს, არ ჰქონდეს საცხოვრებელი სახლი სადაც ის მოიხდის ამ სასჯელს. შესაბამისად, გარკვეულწილად დისკრიმინაციულ სახესთან გვაქვს საქმე. მრავალი პირი ქუჩაში ცხოვრობს, სწორედ რომ ქუჩის ცხოვრება, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა არის დანაშაულის გამომწვევი კრიმინოლოგიური ასპექტები. არაერთ სახელმწიფოში, მათ შორის, მაგალითად, იტლიაში შინაპატიმრობა ნაკლებად გამოიყენება. რადგან კანონით დაუშვებელია მისი დანიშვნა იმ არასრულწლოვნისთვის რომელიც ემიგრანტია, აგრეთვე დამნაშავეს, რომლის ოჯახსაც არა აქვს შინაპატიმრობის აღსრულებისთვის საჭირო

[43] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NO.R(2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015წ. გვ. 170.

ეკონომიკური და პიროვნული შესაძლებლობები.[44] აღნიშნული სწორედ საცხოვრებელი სახლის არარსებობას გულისხმობს თავის თავში, რაც ცალსახად გასათვალისწინებელი ფაქტორია. მსგავს შემთხვევებში აუცილებელია სახელმწიფოს დახმარება, მაგალითად, თეირანში უსახლკარო მსჯარდებულების პრობლემის მოსაგვარებლად ცდილობენ მიტოვებული საცხოვრებლები გადააკეთონ არასრულწლოვანი მსჯავრდებულების საცხოვრებლად, სადაც ისინი იცხოვრებენ გარკვეული ვადით და მოიხდიან სასჯელს.[45] მოცემული ქვეყნის შემთხვევაში სახელმწიფოს ამგვარი ჩართულობა საუკეთესო მაგალითია, იმისა, თუ როგორ უნდა ზრუნავდეს შესაბამისი ორგანოები მსჯავრდებულის, განსაკუთრებით არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, რათა სასამართლო არ შეიზღუდოს სასჯელთან დაკავშირებით, იმ შემთხვევებში, როდესაც მსჯავრდებულს არა აქვს საცხოვრებელი სახლი, რაც დააბრკოლებს შინაპატიმრობის არჩევას. ეს მოცემულობა კი, თავის მხრივ, სასჯელის მიზნების ზედმიწევნით ზუსტად შესრულებას უზრუნველყოფს.

ამრიგად, შინაპატიმრობის დანიშვნისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, მით უმეტეს, თუ საქმე არასრულწლოვანს ეხება. მიუხედავათ იმისა, რომ საპატიმრო სასჯელი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული და მასთან შედარებით შინაპატიმრობა უპირობო ალტერნატივაა, მაინც დიდი რისკების შემცველია სასჯელის ამ სახის გამოყენება. უპირველეს ყოვლისა თავიდან უნდა იქნას აცილებული 24 საათიანი სახლში ყოფნის ვალდებულება სრულწლოვნის შემთხვევაშიც კი, რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი უარყოფითი გავლენები, მათ შორის ოჯახური, ასევე, უშუალოდ პირის ფსიქოლოგიური პრობლემები. აგრეთვე მნიშვნელოვანი საკითხია საცხოვრებელი ადგილის არსებობის ვალდებულება, რომელიც ხშირ შემთხვევებში შესაძლოა პირს ოჯახური და ეკონომიური მდგომარეობის გამო არ ჰქონდეს, არა მხოლოდ უშუალოდ სახლი, არამედ შესაბამისი პირობები.

---

[44] იხ. მახარობლიძე თ. ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში, მზია ლეკვეიშვილი 85- საიუბილეო კრებული, თბილისი 2014, გვ 53

[45] იხ. მახარობლიძე თ. ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში, მზია ლეკვეიშვილი 85- საიუბილეო კრებული, თბილისი 2014, გვ 53.

მიუხედავათ შინაპატიმრობის უარყოფითი ასპექტებისა, არ შეიძლება დავაკნინოთ ამ ინსტიტუტის ჰუმანური ხასიათი, რომელიც უპირობო ალტერნატივად რჩება საპატიმრო სასჯელებთან შედარებით. მისი ცნება ხომ, პირველ რიგში, სასჯელის სიმსუბუქესთან ასოცირდება, რაც დადებით დამოკიდებულებას უნდა იწვევდეს საზოგადოების მხრიდან.

2.შინაპატიმრობის ვადა.

საქართველოს კანონმდებლობა შინაპატიმრობის განსხვავებულ ვადებს გვთავაზობს სრულწლოვან მსჯავრდებულთა და არასრულწლოვან პირებთან მიმართებით. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47'-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით შინაპატიმრობა ენიშნება პირს ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით. [46] ხოლო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ექვსი თვიდან ერთ წლამდე ვადით. [47] როგორც ვხედავთ აღნიშნული სასჯელის მხოლოდ ზედა ზღვარია განსხვავებული, ხოლო ქვედა ზღვარი ერთნაირია სრულწლოვან და არასრულწლოვან პირებთან მიმართებით, რაც, ვფიქრობ არაპროპორციული და შეუსაბამოა.

სასჯელის სახე და ზომა არის მისი ფუნქციების შესრულების განმსაზღვრელი. თუ ისინი არამართლზომიერად არის შერჩეული ეს გამოიწვევს ზემოქმედების ადრესატის ფრუსტრაციას. სასჯელის სხვა მიზნებთან ერთად აღსანიშნავია მისი პრევენციული ფუნქცია. რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ნეგატიურ და პოზიტიურ პრევენციებად. პოზიტიური გენერალური პრევენცია გულისხმობს ნორმის ადრესატების მიერ კანონისა და სამართლისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავებას, რაც ხელს უწყობს დანაშაულის თავიდან აცილებას. ხოლო ნეგატიური გენერალური პრევენცია, რომელიც უარყოფილია, ორიენტირებულია

[46] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლის 47'-2.

[47] არასრულწლოანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 69-2.

ადრესატის დაშინებისაკენ. სასჯელის სახე და ზომა ამ პრევენციული ფუნქციის განმაპირობებელია. რაზეც საუბრობს ნილს კრისტი თავის წიგნში „ტკივილის საზღვრები : სასჯელის როლი სასჯელაღსრულების პოლიტიკაში.“ მოცემულ წიგნში ავტორი სასჯელის ზომას და მის მოქმედებას ადარებს მამის მიერ შვილის რამოდენიმე წუთიან დატუქსვას და 15 წუთიან დატუქსვას. სასჯელის მიზანი არ ითვალისწინებს თუ როგორი ტკივილის მომტანია ის, არამედ მისი მთავარი საზრუნავია დამაშინებელი გავლენა მოახდინოს ადრესატზე. [48]

შინაპატიმრობის სასჯელის ზომის განსაზღვრისას მოსამართლეს დიდი ყურადღება მართებს კონკრეტული პირების შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომით, მათი ასაკისა და ცხოვრებისეული პირობების გათვალისწინებით. სამედიცინო ფსიქოლოგიური კვლევების მიხედვით შინაპატიმრობის შემთხვევაში სასჯელის აღსრულების დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ სრულწლოვან, ფსიქიკურად მდგრად პირებს ფსიქიკური გადახრები აღენიშნებოდათ. არასრულწლოვნების შემთხვევაში კი უფრო სწრფად იწვევდა სახლში დარჩენასთან დაკავშრებულ ფსიქიკურ პრობლემებს , რაც, თავის მხრივ, იწვევდა ოჯახის წევრების მიმართ ძალადობას. [49] ფსიქიკური პრობლემების გამო საფრანგეთმა ელექტრონული სამაჯურის გამოყენება სრულწლოვან პირთა მიმართ ექვსი თვით შეზღუდა. საშუალო ასაკი იმ პირების, რომლებთა მიმართაც გამოიყენებოდა ამგვარი სამაჯური მსოფლიოს გამოცდილებით 30 წელს შეადგენს. გამონაკლისი იყო ინგლისი, სადაც საშუალო ასაკი 27 წელი იყო.[50]

მეტად საინტერესოა შინაპატიმრობის გამოყენების ვადები სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით.

---

[48] იხ. ნილს კრისტი, ტკივილის საზღვრები : სასჯელის როლი სასჯელაღსრულების პოლიტიკაში, პირველი ქართული გამოცემა, რედ. მორის შალიკაშვილი, გიორგი გიორგაძე, თარგმანი უშანგი ბახტაძე. 2017, გვ 45.

[49] იხ. ქეთევან მჭედლიშილი-ჰედიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1 2017, გვ 67.

[50] იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016, გვ 716.

სახლიდან გაუსვლელობა სლოვაკეთში სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად პირს ეკისრება სამართალდარღვევისთვის 1 წლამდე ვადით.[51]

ესპანეთის სისხლის სამართლის მიხედვით გათვალისწინებულია სასჯელი, რომელიც გულისხმობს ბრალებულის ადგილმდებარეობის მუდმივ ცოდნას, რომელიც გამოიყენება ექვს თვემდე ვადით და მოიცავს მოსამართლის მიერ განსაზღვრულ ადგილზე პირის ყოფნის ვალდებულებას.[52]

ასევე, შინაპატიმრობა, ძირითადად, გამოიყენება წინასწარი პატიმრობის ალტერნატივად, მაგალითად პორტუგალიაში, იტალიასა და საფრანგეთში, რომელთა გამოყენების ვადა არ არის მითითებული, თუმცა სავარაუდოთ ეს ვადა გამოძიების ვადით განისაზღვრება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ევროპაში გამოყენების ხანგრძლივობა მისი გამოყენების სრულ ხანგრძლივობას არ ამოწურავს, ის მხოლოდ მის ნახევარზე მეტია. მაგალითად, შვედეთში ვადა ორმოც დღეს არ აღემატება.[53]

როგორც ვხედავთ, ქვეყნები, რომლებიც იყენებენ სასჯელის ამ სახეს ცდილობენ რაც შეიძლება მცირე ვადით გამოიყენონ ის, რათა თავიდან იქნას აცილებული უარყოფითი შედეგები. ასევე, არჩეული ზომა პროპორციული, შესაბამისი იყოს ჩადენილ დანაშაულთან.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მაია ივანიძე აღნიშნავს, რომ პრაქტიკის ანალიზის მიხედვით აშკარად უპირატესია ალტერნატიული სასჯელები თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით. მნიშნელოვანია დაცული იყოს სასჯელის დანიშვნის ინდივიდუალიზაციის, სამართლიანობისა და თანაზომიერების პრინციპები და სასამართლოს მხრიდან იყოს დასაბუთებული თუ კონკრეტულად რა გარემოებებზე დაფუძვნებით იქნა შერჩეული ამა თუ იმ ალტერნატიული სასჯელის

---

[51] იხ. მაია ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016, გვ 354.

[52] იხ. მახარობლიძე თ, სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2017. გვ 54.

[53] იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016, გვ 711.

ზომა და სახე. და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მიღწეული დამნაშავის რესოციალიზაცია.[54]

თამარ მახარობლიძის აზრით, არასრუწლოვან პირთა შემთხვევაში გადასახედია შინაპატიმრობის, როგორც ზედა, ასევე ქვედა ზღვრები. იმის გათვალისწინებით, რომ ამ სასჯელის აღსრულება ელექტრონულ მონიტორინგს გულისხმობს, რომლის ხანგრძლივად გამოყენება მიზანშეუწონელია, ექვს თვიანი ქვედა და ერთ წლიანი ზედა ზღვარი გაუმართლებელია და შეცვლას საჭიროებს. იურიდიულ ლიტერატურაშიც გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასჯელის ამ სახის გამოყენების წინაპირობა უნდა იყოს მისი მოკლევადიანი სახით გამოყენება. მაგალითად, 1991 წლის ინგლისის კანონმდებლობით ბრალდებული სულ მცირე 16 წლის უნდა იყოს, სასჯელის აღსრულება რამოდენიმე ადგილზე არის შესაძლებელი , ხოლო მისი ხანგრძლივობა 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.[55]

ამ მხრივ, ასევე, გასათვალისწინებელია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები ელექტორნული მონიტორინგის გამოყენების შესახებ, რომლის ძირითადი პრინციპების მეოთხე პუნქტში აღნიშნულია, რომ „ელექტრონული მონიტორინგის ტიპი და განხორციელების ფორმები, ხანგრძლივობისა და ჩარევის დონის თვალსაზრისით, პროპორციული უნდა იყოს სავარაუდო ან ჩადენილი დანაშაულის სერიოზულობის, უნდა ითვალისწინებდეს ეჭვმიტანილის ან დამნაშავის ინდივიდუალურ გარემოებებს და გადაისინჯებოდეს რეგულარულად.“ [56] რეკომენდაციის ეს პუნქტი სრულყოფილად მოიცავს იმ დეტალებს, რომელთა გათვალისწინებით სასჯელი იქნება, არა მხოლოდ სამართლიანი და ობიექტური, არამედ მისი არსისა და დანიშნულების უპირობო შემსრულებელი. პროპორციულობა თავის თავში გულისხმობს, როგორც შესაბამისი ხანგრძლივობის შერჩევას, ასევე სასჯელის ადრესატისთვის

---

[54] იხ. მაია ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016, გვ 366.

[55] იხ. მახარობლიძე თ, სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2017. გვ 56.

[56] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NO.R(2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015წ. გვ. 168.

სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებას. შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ასპექტების კუმულაციური ერთობლიობა მოიტანს შედეგად შესაბამისი მიზნების იდეალურად შესრულების შესაძლებლობას.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შინაპატიმრობის ვადა სისხლის სამართლის კოდექსის შედარებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან, აშკარად შეუსაბამოა. როგორც საერთაშორისო პრაქტიკის, ასევე სხვადასხვა რეკომენდაციების გათვალისწინებით , პირველ რიგში, ვადა შერჩეული უნდა იყოს რამდენადაც შესაძლებელია მცირე დროით, რათა თავიდან იქნას აცილებული ის ნეგატიური ეფექტი, რაც მოცემულ სასჯელს თან ახლავს და რასაც გამოყენებული პრაქტიკა ცხადყოფს, შესაბამისი კვლევების დადასტურებით. შესაძლოა ითქვას, რომ შინაპატიმრობის ვადის დიდი დიაპაზონი მოსამართლეს ლავირების მეტ შესაძლებლობას აძლევს, თუმცა სასჯელის არც ზედმეტი დოზით გამოყენება, და არც ნაკლები ზომის გამოყენებით არ მიიღწევა ის შედეგი, რომელსაც სასჯელის მიზნები ითვალისწინებს. ვადის შერჩევისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული უამრავი გარემოება, მათ შორის მსჯავრდებულის/არასრულწლოვნის ინდივიდუალური ნიშნები, რათა მაქსიმალურად შეასრულოს სასჯელმა მისი დანიშნულება.

პირველ რიგში, შესაძლებელია ვიმსჯელოთ, ზოგადად, საქართველოში არსებული შინაპატიმრობის ვადის მაღალ ოდენობაზე. შემდგომ, უკვე, მის პროპორციულობაზე სრულწლოვან პირთა მიმართ და განსხვავებული მიდგომით არასრულწლოვანთა შემთხვევაში. რა თქმა უნდა, არასრულწლოვნება, თავის მხრივ, ერთგვარი შემამსუბუქებელი გარემოებაა და ამ კუხით აუცულებლად უნდა იყოს სხვაობა სასჯელის, როგორც ზედა, ასევე ქვედა ზღვარს შორის. მოქმედი საკანონმდებლო რედაქციით შინაპატიმრობის ზედა ზღვარი განსხვავებულია, არასრულწლოვანთა შემთხვევაში ის ერთი წელია, ხოლო სრულწლოვან პირთა მიმართ კი- ორი. ამ თვალსაზრისით ის, რომ სხვაობა ზედა ზღვარში არსებობს, შესაძლებელია პროპორციულად ჩავთვალოთ. თუმცა საკითხავია, ერთმანეთთან ცალკე მდგომი, რამდენად შესაბამისია მისი მაქსიმალური ვადა. თუ გავითვალისწინებთ უცხო ქვეყნების პრაქტიკას და მიდგომებს, ასევე იმ დიდ რისკებს, რაც სასჯელის ამ სახის ხანგრძლივი დროით დანიშვნა შეიცავს შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზღვარი მაღალია. თუმცა, ისევე როგორც მედალს

ორი მხარე აქვს აქაც არსებობს ობიექტური თვალსაზრისი სხვა მხრიდან დავინახოთ ზემოაღნიშნული ერთგვარი პრობლემური საკითხი, რაც საბოლოოდ კითხვის ნიშნებს გააქრობს. კერძოდ, რაც უფრო დიდი დიაპაზონი ექნება მოსამართლეს, მით უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცემა შედარებით მძიმე გარემოებებით ჩადენილი დანაშაულის ჩამდენი აარიდოს ციხის კედლებს და შინაპატიმრობას მიანდოს მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. რაც შეეხება ქვედა ზღვარს, ვფიქრობ, აქაც უნდა იყოს განსხვავება. არასრულწლოვნის შემთხვევაში ქვედა ზღვარი გაცილებით დაბალი უნდა იყოს, რადგან ყველა ასპექტის მიხედვით მოზარდს განსაკუთრებულად უნდა მოვეპყრათ და ყველაფერი მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდეს. თუმცა, მნიშვნელოვანია ამგვარი მოპყრობის არა მხოლოდ რეალურად არსებობა, არამედ საზოგადოების თვალით იმის დანახვა, რომ მართლაც ვეპყრობით შესაბამისად და გამორჩეულად.

3.შინაპატიმრობის დანიშვნის წინაპირობები.

იმისათვის, რომ დანაშაულის სუბიექტს შინაპატიმრობა დაენიშნოს ამისათვის საჭიროა კანონით განსაზღვრული გარკვეული წინაპირობების არსებობა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემთხვევაში ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ არასრულწლოვანს შინაპატიმრობა დაენიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული[57], ანუ ისეთი სახის დანაშაული რომლის შემთხვევაშიც თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ზღვარი 5 წელზე ნაკლებია გათვალისწინებული. განსხვავებული ვითარება გვაქვს სრულწლოვან პირებთან დაკავშირებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47'-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, შინაპატიმრობა ენიშნება ნასამართლეობის არმქონე პირს.[58] ამ შემთხვევაში კანონში არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად როგორი სიმძიმის დანაშაულის ჩადენისას შეიძლება დაენიშნოს პირს ეს სასჯელი, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ის ინიშნება კოდექსით კონკრეტულად

[57] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 69-3.
[58] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლი 47'-2.

განსაზღვრული იმ მუხლების შემთხვევაში, რომლებიც ნაკლებად მძიმე დანაშაულს წარმოადგენენ.

სასჯელი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ ერთგვარი ზემოქმედებაა. ეს ზემოქმედება დამნაშავეთა განსაზღვრული ტიპების მიხედვით განსხვავებული უნდა იყოს. ამ საკითხს ეხება ლისტი, რომელმაც ჩამოაყალიბა დამნაშავეთა სამი ტიპი, შესაბამისი სახელმწიფო რეაქციების, ანუ სასჯელების სახეებით. ლისტის თეორიამ დიდი ზეგავლენა მოახდინა სასჯელების საკითხში, რომელსაც უკავშირდება თავისუფლების აღკვეთის თავიდან აცილება და მისი ალტერნატივების ძიებისთის საფუძვლის ჩაყრა, როგორც სისხლის სამართალში, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ლისტის აზრით, სასჯელის სიმძიმე დანაშაულის განმეორებითობის ალბათობას ზრდის. შესაბამისად დაიწყო თავისუფლების აღვეთის ალტერნატივების ძიება.[59]

ზემოაღნიშნულმა ალტერნატივების ძიების პროცესმა დღევანდელი სისხლის სამართალი შინაპატიმრობის ინსტიტუტამდე მიიყვანა. ამ სასჯელის გამოყენებისას კი მნიშვნელოვანია შესაბამისი სუბიექტის არჩევა, ანუ „მიზნობრივი ჯგუფის განსაზღვრა“, რომლის არასწორად არჩევის შემთხვევაში დიდი ზიანი მიადგება მას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ შეიძლება შინაპატიმრობით დავსაჯოთ პირი, რომელსაც საპატიმრო სასჯელი, თავისუფლების აღკვეთა, არ ემუქრება სასჯელად მის მიერ ჩადენილი დანაშაულსთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება სახელმწიფოს კონტროლის დაუსაბუთებელი გაფართოვება. [60] დანაშაულის ჩამდენ პირთა ზუსტი ადრესატის განსაზღვრა ანუ „შინაპატიმრობის კლიენტურის შერჩევა“, რომელთა შემთხვევაშიც სასჯელი თავის ფუნციებს შეასრულებს საკმაოდ რთულია.[61]

---

[59] იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016, გვ 664.

[60] იხ. ქეთევან მჭედლიშილი-ჰედიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1 2017, გვ 66.

[61] იქვე.

საქართველოს კანონმდებლობით, როგორც უკვე აღვნიშნე, შინაპატიმრობის ადრესატები ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირები არიან. ეს კი სახელმწიფოს საკმაოდ მკაცრ რეაქციად შეიძლება ჩაითვალოს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში შინაპატიმრობა გამოიყენება დაბალი რისკის მქონე დამნაშავეების მიმართ, რასაც დადებითი შედეგი აქვს. ხოლო მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებთან მიმართებით მოცემულ სასჯელს დადებითი შედეგები არ მოჰყოლია. შესაბამისად მათ მიმართ ეს სასჯელი არ გამოიყენება. [62]

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი აღნიშნავს, რომ შინაპატიმრობის გამოყენება არასრულწლოვნის მიერ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო არაპროპორციული და მძიმე სასჯელია, რამაც უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს. [63]

დოქტორანტ მოსამართლე მაკა გიორგაძის აზრით, შინაპატიმრობის დანიშვნა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით უმკაცრესი სასჯელია, რომელიც თავისუფლების აღკვეთას უტოლდება. მისი თქმით, შინაპატიმრობა ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ იმ არასრულწლოვნებისთვის, რომლებმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს.[64]

იგივეს აღნიშნავს თამარ მახარობლიძე, რომ შინაპატიმრობა საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკის და გამოცდილების გათვალისწინებით, სადაც მოცემული სასჯელი გამოიყენება დაბალი და მაღალი რისკების მქონე დამნაშავეების მიმართაც, შეიძლება უფრო მეტად გავაფართოვოდ და ის გამოყენებული იქნეს მძიმე დანაშაულების შემთხვევაშიც. რადგან, ეს სასჯელი არც თუ ისე

---

[62] იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016, გვ 698.

[63] იხ. ქეთევან მჭედლიშილი-ჰედიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1 2017, გვ 70.

[64] იხ.მაკა გიორგაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზოგიერთი სადავო საკითხი, მართლმსაჯულება და კანონი, 2018 , N1. გვ 54.

ლიბერალურია, ის შეიცავს თავისუფლების აღკვეთის ნიშნებს. ავტორი გვთავაზობს, რომ მეტი სიფრთხილისთვის გაკეთდეს დათქმა, რომ მხოლოდ მძიმე დანაშაულის ჩადენის პირველ შემთხვევაზე გამოიყენებოდეს ეს სასჯელი.[65]

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აშკარაა შინაპატიმრობის გამოყენების წინაპირობების განსაკუთრებული სიმკაცრე. მით უმეტეს, არასრულწლოვან პირთა შემთხვევაში. მათ მიერ ჩადენილ ნაკლებად მძიმე დანაშაულზე შინაპატიმრობის ზემოქმედება ზედმეტად შეიძლება ჩაითვალოს. ამის გათვალისწინებით შესაძლებელი უნდა იყოს მძიმე დანაშაულის ჩადენისთვისაც ამ სასჯელის დანიშვნა. გარდა სიმკაცრის თავიდან აცილებისა, ეს მოსამართლეს უფრო მეტ გასაქანს შეუქმნის სასჯელის ამ სახის შერჩევაში და მისცემს საშუალებას შეიკავოს თავი საპატიმრო სასჯელების გამოყენებაში. რაც შეეხება სრულწლოვან პირებს, გარკვეული განსხვავება არასრულწლოვნებთან შედარებით გვაქვს, რადგან მათთან დაკავშრებით ყველა ნაკლებად მძიმე დანაშაული არ მოიცავს შინაპატიმრობის სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას. მიუხედავათ ამისა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ეს სასჯელიც შესაძლებელია განვიხილოთ მკაცრ სასჯელად.

4.შეზღუდვები სასჯელის დანიშვნისას.

შინაპატიმრობის დანიშვნისას მოსამართლემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გარკვეული გარემოებები და შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება მისი კონკრეტული სახით გამოყენებასთან დაკავშირებით. არასრულწლოვან პირთა შემთხვევაში ზემოაღნიშნული მდგომარეობს შემდგომში: „არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.“[66] სასჯელის დანიშვნის ეს შეზღუდვა არა გვაქვს სრულწლოვან პირთა მიმართ. ეს, სავარაუდოთ, განპირობებულია იმით, რომ, მათგან

[65] იხ. მახარობლიძე თ, სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2017. გვ 53.

[66] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 69-4.

განსხვავებით, არასრუწლოვან პირებს კანონი განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობა, ითვალისწინებს მათ საუკეთესო ინტერესებს. მოზარდი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და საჭიროებს დიდ ყურადღებას. მათი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისთვის საჭიროა, არა მხოლოდ სასჯელის სახისა და ზომის შესაბამისი, პროპორციული და ეფექტური არჩევა, არამედ ამ პროცესში სხვადასხვა საგანმანათლებლო და სოციალური პროგრამების აქტიური ჩართულობა.

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ელექტრონული მონიტორინგის შესახებ ამ საკითხთან დაკავშრებით განსაზღვრავს ძირითად პრინციპს , რომელიც არა მხოლოდ არასრულწლოვანს, არამედ სრულწლოვან პირსაც ეხება. აღნიშნული გულისხმობს, რომ „იმ შემთხვევაში თუ ელექტრონული მონიტორინგი უკავშირდება გარკვეულ ადგილებში არდავშვებას, ან შეზღუდულ დაშვებას , ყველა ღონე უნდა იხმარონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ მონიტორინგის განხორციელების ამგვარი პირობები არ აღმოჩნდეს იმდენად შემავიწროვებელი, რომ შეზღუდოს საზოგადოებაში ყოველდღიური ცხოვრების გონივრული ხარისხი.“[67] ეს პრინციპი შეიძლება გავიგოთ შემდეგნაირად: პირის ყოველდღიური ცხოვრება, მისი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მის რესოციალიზაციას, აგრეთვე, ყოველდღიური სამსახური და სწავლის პროცესი არსებითად, გონივრული თვალსაზრისით არ უნდა შეიზღუდოს. რა თქმა უნდა, არასრულწლოვანს განსაკუთრებით სჭირდება შესაბამისი ჩართულობები, რათა, ერთის მხრივ, დევიაციური ქმედებები აღარ განმეორდეს, მეორეს მხრივ, კი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესები წარმატებით განხორციელდეს. ხარისხობრივად ნაკლები, თუმცა ამგვარი აქტივობები სრულწლოვანი პირებისთვისაც აუცილებელია იმავე მიზნებისთვის, რაც მოზარდი მსჯავრდებულების მიმართ გამოიყენება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მეექვსე მუხლის მიხედვით არასრულწლოვანს აქვს ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი და

[67] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NO.R(2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015წ. გვ. 170.

სოციალური განვითარების უფლება.[68] მისი ეს განვითარება, უპირველეს ყოვლისა, მოდის ოჯახური აღმზრდელობითი პროცესებიდან. შემდგომ, უკვე საქმეში ერთვება ისეთი საზოგადოებრივი ინსტანციები, როგორებიცაა სკოლა და სხვადასხვა სასწავლებლები. შესაბამისად, არასრულწლოვნისთვის უმნიშვნელოვანესია განათლება, რომელიც კონსტიტუციით გარანტირებულია და ყველას აქვს მისი მიღებისა და ფორმის არჩევის უფლება.[69] შინაპატიმრობის შეზღუდვები სწორედ განათლების მიღებაში ხელის შეშლის დაუშვებლობას მოიცავს, ასევე იგივე შეიძლება ითქვას სამუშაოს შესრულებაზეც. ეს ორი სფერო ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულია. პროფესიის დაუფლების უპირველესი საფეხურია განათლება, ხოლო ორივე მათგანი ერთობლიობაში - ცხოვრებაში ინტეგრირების მნიშვნელოვანი კომპონენტი.[70]

ზემოაღნიშნულში, ასევე, გათვალისწინებულია ე.წ. „პეკინის წესები", რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ მოზარდს უნდა შეუქმნას ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს მის განვითარებასა და განთლების მიღებას. განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც არასრულწლოვანი მიდრეკილია კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისაკენ. მარტივად რომ ვთქვათ, სახელმწიფომ უნდა უზურნველყოს მისი შინაარსიანი ცხოვრება.[71]

შინაპატიმრობა არასრულწლოვნისთვის ეფექტური უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით მაია ივანიძე აღნიშნავს, რომ ალტერნატიული სასჯელები დიდ პრობლემებს იწვევს მენტალობასთან დაკავშირებით. ამის აღსაკვეთად კი უნდა მოხდეს ამ სასჯელის ადრესატების განათლებისა და პროფესიული უნარ ჩვევების ამაღლება. ასევე, მათი ჩართვა სხვადასხვა სოციალურ პროგრამებში.[72]

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის აზრით, საქართველოში შინაპატიმრობის აღსრულება თანხვედრაში უნდა იყოს სხადასხვა სოციალურ ღონისძიებებთან,

---

[68] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 6.

[69] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27-1.

[70] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. გამომცემლობა შპს „პეტიტი" თბილისი 2013, გვ 424.

[71] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ, მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ(პეკინის წესები), 1985 წ . წესი 1. 2.

[72] მაია ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი" თბილისი 2016, გვ 365.

სოციალურ კონტროლთან, რადგან მხოლოდ ელექტრონული ზედამხედველობა სასჯელის უარყოფით საფრთხეებს ვერ აღკვეთავს და შესაბამისად, მის მიზნებს ვერ შეასრულებს. ყოველივე ეს კი უცხოური პრაქტიკით დასტურდება. ამის გათვალისწინებით კი აუცილებელია ყოველ კონკრეტულ სასჯელის ადრესატთან მორგებული სოციალურ-ფსიქოლოგიური და სასწავლო გაკვეთილების დანერგვა, ვალდებულების სახით.[73]

თამარ მახარობლიძე აღნიშნავს, რომ, მიუხედავათ საქართველოში გავრცელებული შინაპატიმრობის სახისა, რომელიც მოიცავს საქმიანობის უფლების შესაძლებლობას, მაინც ნაკლებად სავარაუდოა არასრულწლოვნის დასაქმება. რადგან, სასჯელის ამ სახის აღსრულების საშუალება, ელექტრონული სამაჯური, ხილვადია ყველასათვის და ამის გათვალისწინებით დამსაქმებელი უარს იტყვის მსგავსი პირის სამსახურში აყვანაზე. ამ არგუმენტს ამყარებს საზღვარგარეთის პრაქტიკის მაგალითები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში, სადაც ელექტრონული ზედამხედველობაში მყოფ პირებს ათავისუფლებდნენ სამსახურიდან, სწორედ ხილვადი სამაჯურის გამო, რომლის შემჩნევისას მომხმარებლები ერიდებოდნენ არა მხოლოდ მასთან ურთიერთობას, არამედ, უშუალოდ, მოცემული სამსახურის ადგილას სრუმრობას. ავტორის აზრით, იგივე ბედი ელის შინაპატიმრობის სუბიექტს საქართველოს შემთხვევაში. იმის გათვალისწინებით, რომ, სამუშაო ადგილების კუთხით, ქვეყანაში საკმაოდ მძიმე სიტუაციაა, არასრულწლოვნის დასაქმება ფაქტობრივად გამორიცხულია. გამოსავალს კი გვთავაზობს სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მოქმედებით, შექმნას განსაზღვრული პროგრამები, რომლითაც არასრულწლოვანი პირები შეძლებენ სარგებლობას, ანუ დასაქმებას. [74] დავეთანხმები ავტორის ამ მოსაზრებას, რადგან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით მართლაც რომ რთულია სამსახურის შოვნა. ამ პრობლემურ საკითხში სხვა ასპექტიც შეიძლება გამოვყოთ. საქართველო საკმაოდ მცირე

---

[73] იხ. ქეთევან მჭედლიშილი-ჰედიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, გვ 70.

[74] იხ. მახარობლიძე თ, სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2017. გვ 57.

ქვეყანაა სადაც, მარტივად შეიძლება ითქვას, რომ „ყველა ყველას იცნობს“. ამის გათვალისწინებით თვითონ მსჯავრდებულს, განსაკუთრებით არასრულწლოვანს არ მოესურვება იმუშაოს იქ, სადაც მისი იდენტიფიცირება მოხდება, როგორც სასჯელშეფარდებული, იმ სამაჯურით, რომელიც მარტივად აღქმადია გარშემომყოფთათვის. ეს კი სხვა არაფერია თუარა სტიგმატიზაცია. გამოსავალი კი, უპირველეს ყოვლისა, სამაჯურის იმგვარად დახვეწაში მდგომარეობს, რომ ის რაიმე ეჭვს არ იწვევდეს. რაღათქმა უნდა სამუშაო ადგილების არსებობა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ, რათა კანონის ეს დანაწესები შესრულდეს.

სისხლის სამართლის კოდექსის შემთხვევაში შინაპატიმრობის დანიშვნა გარკვეულ შეზღუდვას ითვალისწინებს, რომ ის არ შეიძლება დაენიშნოს სამხედრო მოსამსახურეს და ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირს.[75] ბუნებრივია, პირი რომელიც სამხედრო სამსახურში იხდის ვალდებულებას ვერ გამოკეტავენ სახლში. ხოლო, რაც შეეხება ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირს, ამ შემთხვევაში მსგავსი ტიპის დანაშაული ძირითადად ოჯახში ძალადობას გულისხმობს, ან ნებისმიერ დანაშაულს რომელიც ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ხორციელდება. შესაბამისად, გაუმართლებელი იქნება დამნაშავის დაზარალებულთან ერთ სივრცეში მოთავსება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის ეს შეზღუდვა ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ შინაპატიმრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს თანხვედრაში მოზარდის ცხოვრებასთან თუ მას აქვს სამსახური ან სწავლობს. მოცემული საკანონმდებლო დანაწესი, თავის თავში მართებულია, თუმცა, უმჯობესია, თუ კანონით გახდება სავალდებულო ამგვარი მოზარდებისთვის სამსახურის დაწყება და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვა, რომლებსაც, თავის მხრივ, შესაბამისი სახელმწიფო სამსახურები უზრუნველყოფდნენ. რადგან, მხოლოდ სახლში გამოკეტვა და ოჯახის წევრთა იმედზე რესოციალიზაციის პროცესის გარდატეხა ვერ მოიტანს შედეგებს. სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა ჩართოს არასრულწლოვანი სოციალურად მნიშვნელოვან პროგრამებში, ასევე დააწყებინოს სამსახური, რომელიც საშუალებას მისცემს სოციალურ კონტაქტებს,

[75] საქართველოს სისხლის სამართის კოდექსი. მუხლი 47’-6.

რაც, თავის მხრივ, რესოციალიზაციის გარანტირებული შედეგის მომასწავლებელია. არასრულწლოვანს ხომ განსაკუთრებულად უნდა მოეპყრას კანონი, შესაბამისად სახელმწიფო, და მისი საუკეთესო ინტერესები მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული. რესოციალიზაცია სრულწლოვანი პირების შემთხვევაშიც არის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მიზანი და მათთან დაკავშრებითაც კარგი იქნებოდა კანონს დაერეგულირებინა შინაპატიმრობის და სამსახურის, მათ შორის სწავლის პროცესის ურთიერთშეთავსება. კონსტიტუციით გათვალისწინებული განათლების მიღების უფლება გულისხმობს როგორც საშუალო, ასევე უმაღლესი განათლების მიღებას. ეს უკანასკნელი კი 23-24 წლამდე შეიძლება გაგრძელდეს. ამ ხნის პირი კი სრულწლოვანთა კატეგორიას მიეკუთვნება. რაც შეეხება სამსახურს, როგორც უკვე აღვნიშნე ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს პირის რესოციალიზაციის პროცესში, რასაკვირველია, არა მხოლოდ არასრულწლოვანი, არამედ სრულწლოვანი პირების შემთხვევაშიც კი.

ამრიგად, შინაპატიმრობის დანიშვნა კონკრეტულ შეზღუდვებს უწესებს მოსამართლეს, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს ზემოქმედების ამ სახის არჩევა მსჯავრდებულის/არასრულწლოვნის მიმართ. კერძოდ, არასრულწლოვნის შემთხვევაში სწავლისა და სამსახურის ხელშეწყობა. ამ შეზღუდვებს თავისი მიზნები აქვთ, რომელთა შესრულებაც საქართველოს შემთხვევაში, როგორც დავინახეთ, კითხვის ნიშნის ქვეშაა. მის გამოსასწორებლად კი სახელმწიფომ თავი უნდა დაივალდებულოს თავად უზრუნველყოს მათი შესრულება. იმავე საკითხის განხილვა არ იქნებოდა ურიგო სრულწლოვანი პირების მიმართაც, რაც საბოლოოდ დადებით შედეგებს მოგვცემს.

თავი III

შინაპატიმრობის აღსრულება.

1.შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი და მისი დანიშნულება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით შინაპატიმრობა აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. აგრეთვე, კანონით დაშვებულია მისი აღსრულება ელექტრონული ზედამხედველობის გარეშეც, რომელსაც წყვეტს პრობაციის ეროვნული სააგენტო. [76] ელექტრონული ზედამხედველობის გამოუყენებლობა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე გვაქვს სპეციფიური ადგილი, სადაც აღსრულება ტექნიკურად შეუძლებელია.[77] ეს ეხება, როგორც სრულწლოვან, ასევე არასრულწლოვან მსჯავრდებულებსაც.

[76] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლი 47'-5.

[77] შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N 146-ე ბრძანება, 2017 28 დეკემბერი. ქ თბილისი.

კანონის ეს დანაწესები საკმაოდ დასაფასებელია მისი ლიბერალური ხასიათის გამო. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით უამრავი ადგილია სადაც ტექნიკურად შეუძლებელია ამ საშუალებების გამოყენება, მაგალითად მაღალმთიანი რეგიონები, სადაც უამრავი ხალხი ცხოვრობს. შესაბამისად, მოსამართლეც არ არის შეზღუდული უარი თქვას შინაპატიმრობის გამოყენებაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ელექტრონულ საშუალების გამოყენება შეუძლებელია.

სასჯელის მიზნების ზუსტი და სრულფასოვანი შესრულებისთვის, თავდაპირველად, მნიშვნელოვანია მისი შესაბამისი სახის არჩევა, ადეკვატური ზომის გათვალისწინებით. შემდგომ, კი განსაკუთრებული როლი ზემოაღნიშნული მიზნის განხორციელებაში, სასჯელის აღსრულების მექანიზმს აქვს.

სასჯელის აღსრულების ამ როლზე საუბრობს თამარ მახარობლიძე. ის მიუთითებს, რომ, როდესაც პირი დანაშაულს ჩადის და უშვებს „ერთგვარ შეცდომას“ სასჯელის მოხდის ფორმა უმნიშვნელოვანესია მისთვის, რომელიც განსაზღვრავს მომავალს. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას არასრულწლოვანზე, რადგან სასჯელის მოხდა ცხოვრების იმ ეტაპზე უწევს, როდესაც მისი ჩამოყალიბება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მისი აღსრულებისას კი კანონი იმგვარად უნდა იყოს სრულყოფილი და უნაკლო, რომ ამ პროცესმა მსჯავრდებულის/არასრულწლოვნის ცხოვრებაში უარყოფითი გავლენების გარეშე ჩაიაროს. პირიქით, ეს უნდა იყოს ერთგვარი გაკვეთლი, რომელიც მის რეაბილიტაციას მოახდენს.[78]

სასჯელის აღსრულების მექანიზმის მიღებისას , ასევე, მნიშვნელოვანია თუ რამდენად სრულდება საერთაშრისო სტანდარტები. საქართველოს შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს საერთაშორისო რეკომენდაციებს, მათ შორის მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, ის შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმს, ელექტრონულ მონიტორინგს, ეხება,

[78] იხ. მახარობლიძე თ. ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში, მზია ლეკვეიშვილი 85- საიუბილეო კრებული, თბილისი 2014, გვ 18.

ესაა მოწყობილობა, რომელიც ემაგრება ადამიანს და ახორციელებს დისტანციურ კონტროლს.[79]

რაც შეეხება შინაპატიმრობის დანიშვნის კომპეტენციის მქონე ორგანოს. ქვეყნების მიხედვით, თუ შინაპატიმრობის რომელი სისტემა აქვთ არჩეული, ეს უფლებამოსილება სხვადასხვა ორგანოს აქვს. მაგალითად, პირდაპირი სასჯელის გამოყენების შემთხვევაში მას სასამართლო ნიშნავს, ხოლო თავისუფლების აღკვეთის შინაპატიმრობის შეცვლისას, შვედეთის შემთხვევაში, ეს უფლებამოსილება სასჯელაღსრულების ორგანოს გააჩნია. ნიდერლანდებში კი ამას სპეციალური ორგანო ახორციელებს. აღსრულება კი პოლიციის ან კერძო კომპანიების უფლებამოსილებას განეკუთვნება.[80]

საერთაშორისო რეკომენდაციის მიხედვით, ზოგიერთი ქვეყნის იურისდიქციაში მონიტორინგს ახორციელებს სასჯელაღსრულების დაწესებულება, პრობაციის სამსახური ან სხვა საჯარო ორგანო, ზოგიერთის შემთხვევაში, კი კერძო კომპანიები.[81]

რაც შეეხება საქარველოს, ჩვენს შემთხვევაში სასჯელს აღასრულებს პრობაციის სამსახური. მისი მსჯავრდებულისათვის/არასრულწლოვნისთვის შეფარდების უფლება აქვს სასამართლოს. ხოლო, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის უფლება შინაპატიმრობის შემთხვევაშიც გააჩნია, როგორც სასამართლოს, ასევე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ადგილობრივ საბჭოს.

2. ელექტრონული ზედამხედველობის ზემოქმედება და მისი ეფექტურობა.

---

[79] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NO.R(2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015წ. გვ. 165.

[80] იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, გვ 710.

[81] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NO.R(2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015წ. გვ. 166.

სასჯელი დანაშაულის ჩამდენ პირზე ერთგავრი ზემოქმედებაა. ზემოქმედების კონკრეტული სახე კი განსაზღვრავს მის ეფექტურობას, რომელიც, თავის მხრივ, სასჯელის მიზნების უპირობო შესრულების განმაპირობებელია. ამა თუ იმ სასჯელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა იზრუნოს დანაშაულის ჩამდენი პირის რესოციალიზაციაზე. განსაკუთრებით არასრულწლოვნის შემთხვევაში. რესოციალიზაცია სასჯელის მიზნებში, სწორედ, პირველ ადგილს იკავებს დანარჩენებთან შედარებით.

სასჯელის დანიშნულება დანაშაულის ჩამდენ პირზე ისეთი ზემოქმედებაა, რომელიც მისი უფლებების შეზღუდვას იწვევს, შესაბამისი ვალდებულებების გათვალისწინებით. თუმცა, სასჯელი სამართლიანად, პროპორციულად უნდა იყოს დანიშნული, ისე, რომ არ გამოიწვიოს პირზე არამართლზომიერი ზეგავლენა.

ევროპის საბჭოთა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებში აღნიშნულია ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან დამნაშავეების მიმართ სასჯელის ეფექტურად გამოყენების შესახებ.[82]

ე.წ. „პეკინური წესები“ განსაზღვრავს, რომ ზემოქმედების ფორმები და საშუალებები უნდა იყოს, როგორც ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესაბამისი, ასევე არასრულწლოვნისა და საზოგადოების მოთხოვნილებებთან თანხვედრაში.[83]

ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი დადებითად აღიქმება. ქვეყნების 70-90 %-მა დადებითი შედეგი აჩვენა. [84]

პირველ რიგში, არასაპატიმრო სასჯელის ეფექტურობის საზომი საპატიმრო სასჯელებთან შედარებით უნდა განვიხილოთ. ზემოაღნიშნულის

---

[82] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NO.R(2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015წ. გვ. 161.

[83] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ, მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ(პეკინის წესები), 1985 წ . წესი 17.

[84] იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, გვ 710.

გათვალისწინებით, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ელექტრონულად განხორციელებადი შინაპატიმრობა თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით მსუბუქი სახეა. მიუხედავათ ამისა, ის მაინც იწვევს გარკვეულ უარყოფით ზემოქმედებას, მათ შორის, ფიზიკურსა და ფსიქიკურს.

ზემოქმედება და მისი გავლენა პირველ რიგში დაკავშირებულია ტექნიკურ მხარეზე.

2.1 ელექტრონული ზედამხედველობის ტექნიკური მხარე.

შინაპატიმრობის აღსრულება ხორციელდება ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით. ელექტრონული მონიტორინგი კი თავის თავში გულისხმობს სპეციალურ ციფრულ მოწყობილობას, რომელიც საქართველოში წარმოდგენილია ერთგვარი სამაჯურის სახით. ამ საშუალების გამოყენების წესი დგინდება შესაბამისი ბრძანებით, რომლის მიხედვითაც ზედამხედველობა გულისხმობს, ელექტრონული აპარატის საშუალებით სასამართლოს მიერ დადგენილი პერიოდულობითა და სიხშირით პირის განსაზღვრულ ადგლზე ყოფნის მუდმივ კონტროლს. ეს მოწყობილობა წარმოდგენილია გადამცემისა და მიმღების სახით. გადამცემი, იგივე სამაჯური, დამაგრებულია მსჯავრდებულის ქვედა კიდურზე, იმგვარად, რომ მისი მოშორება შეუძლებელი იყოს. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სამაჯურის ქვედა კიდურზე დამაგრება, ის მაგრდება მაჯაზე. რაც შეეხება, მიმღებს, ის განთავსებულია საცხოვრებელ ადგილზე და მიერთებულია დენის წყაროს. მიმღების გამოყენებით განისაზღვრება პერიმეტრი, რომელზეც გადაადგილების უფლება აქვს პირს, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში სიგნალი გადაიცემა ზედამხედველობის სისტემაში.[85]

იმისდა მიუხედავათ, რომ არასრულწლოვნის შემთხვევაში ელექტრონული მექანიზმის უარყოფითი ზეგავლენა უფრო დიდი საფრთეების შემცველია, საქართველოში არ არსებობს განსხვავება სრულწლოვან და არასრულწლოვან

[85] ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენები წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ , საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N 178-ე ბრძანება, 2015 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი.

პირების მიმართ აღსრულების ტექნიკური საშუალებებთან დაკავშირებით. მისი ტარება არაერთ პრობლემასთან არის დაკავშირებული. ელექტრონული სამაჯურის ტარების საცდელ პროექტში, გერმანიაში, გამოსაცდელები ფიზიკურ ტკივილებს უჩიოდნენ. მათ შორის, კუნთების დასიებას, კანის გადაყვლეფვას და სხვა. ასევე, ელექტრონული სამაჯური გამორიცხავს გარკვეული სახის ფეხსაცმლის ტარებას. მაგალითად , ისეთების, რომლებიც მსჯავრდებულს კოჭებამდე სწვდება. და თუ პროფესია ამას მოითხოვს, დამატებით მას შეეზღუდება სამსახურში მუშაობა. დიდ ბრიტანეთის შემთხვევაში, კი კვლევამ გამოააშკარავა სხვა პრობლემები. კერძოდ, სამაჯურმა მოზარდი შეზღუდა სპორტულ აქტივობებში, რადგან მათი გამოჩენა, მაშინ როდესაც ზაფხულის პერიოდში მოკლე ტანისამოსი აცვიათ, უხერხულობის შეგრძნებას ტოვებდა მათში. შედეგად კი ძირითადი პერიოდის სახლში გატარება უწევდათ, რაც საბოლოოდ მათ უფლებებს ზღუდავდა.[86]

ელექტრონული ზედამხედველობის პროექტი ელექტრონული სამაჯურის გამოყენებით , მიუხედავათ გარკვეული უარყოფითი შედეგებისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში დადებითად შეფასდა. რადგან, თავიდან იქნა აცილებული ის უფრო საზიანო შედეგები, რომელიც დაკავშრებულია საპატიმრო სასჯელებთან. მაგალითად კრიმინალური დასნებოვნება.[87]

შინაპატიმრობის აღსრულების ტექნიკური მხარე, ანუ ელექტონული სამაჯური, საქართველოს შემთხვევაში, დახვეწას საჭიროებს. იმის გათვალისწინებით, რომ 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების განვითარების ეპოქად შეიძლება მივიჩნიოთ, შესაძლებელი უნდა იყოს მოცემული სამაჯურის უფრო დახვეწა. მისი ისეთი სახით შეცვლა, რომელიც არ შეზღუდავს მსჯავრდებულის/არასრულწლოვნის უფლებებს. კერძოდ, უნდა მოხდეს მისი ზომის შემცირება, აგრეთვე, ისეთი ფორმით არსებობა რომელიც, მაგალითად, წაგავს ელექტრონულ მაჯის საათს.

[86] იხ. ქეთევან მჭედლიშილი-ჰედიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში- ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, გვ 67.
[87] იქვე.

მსგავსი აპარატი გერმანიაშიც გამოიყენება.[88] დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, საქართველოში არსებული ტექნიკისგან განსხვავებით, არსებობს ამ მოწყობილობის უფრო დახვეწილი ვარიანტები, რომელიც, პირველ რიგში, მისი ზომისა და ფორმის გათვალისწინებით გამორიცხავს პირისათვის რაიმე სახით ხელის შეშლას ცხოვრებისეული აქტივობებში. ზემოაღნიშნული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის შემთხვევაში. გარდა ამისა, გამოირიცხება სხვა პირის მიერ ამ მოწყობილობის იმგვარი აღქმა, რომ მისი მატარებელი არ აღიქმებოდეს ერთგვარ პატიმრად, შესაბამისად არ გამოიწვევს მის სტიგმატიზაციას და მარგინალიზაციას. ეს კი, თავის მხრივ, შინაპატიმრობის აღსრულების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად შეიძლება მივიჩნიოთ. მიუხედავათ იმისა, რომ ამ პრობლემის მოგვარება საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომელიც გულისხმობს შესაბამისი ტექნიკის გაუმჯობესებას, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ ლიბერალური სასჯელი არალიბერალურად არ გადაიქცეს.

2.2 ელექტრონული ზედამხედველობის ზემოქმედების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტი.

შინაპატიმრობის, როგორც სასჯელის, ადრესატზე ზემოქმედება ხორციელდება ელექტრონული სამაჯურის გამოყენებით. ეს, ერთი შეხედვით, პირზე ლოიალური მიდგომის გამოხატულებაა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული მონიტორინგი არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ, კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს. მათ შორის, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და ოჯახური ცხოვრების სივრცეში ხელშეუხებლობის უფლებას.[89]

არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების საკითხს ეხება სხვადასხვა საერთაშორისო აქტები, შესაბამისი რეკომენდაციებით. მაგალითად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის რეკომენდაცია , რომლის მიხედვითაც

[88] იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, გვ 697.
[89] საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 12, მუხლი 16.

ალტერნატიული სასჯელების გამოყენების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის უფლებები, სასჯელის პროპორციულობა და მინიმალური ინტერვენციის პრინციპი. [90] ასევე, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ელექტრონული მონიტორინგის შესახებ განსაზღვრავს, რომ ტექნოლოგიების გამოყენება უნდა მოხდეს შესაბამისი რეგულირებითა და პროპორციულობის დაცვით, იმისათვის რომ შემცირდეს უარყოფითი ზეგავლენა, როგორც უშუალოდ სასჯელის ადრესატის მიმართ, აგრეთვე მესამე პირებთან, მათ შორის, ოჯახის წევრებთან.[91]

ელექტრონული სამაჯურის გამოყენებისას პირის იდენტიფიცირება, როგორც სამართალდამრღვევი, მარტივია. ეს კი იწვევს მის სტიგმატიზაციას.

პირველ რიგში, ირღვევა ადამიანის კონსტიტუციით გათვალისწინებული პიროვნული განვითარების უფლება. „იგი გულისხმობს ინდივიდის უფლებას, თავად გადაწყვიტოს, გახდეს თუ არა ცნობილი გარეშე პირთათვის(და თუ ჰო, რა ფარგლებში) მისი პერსონალური მონაცემები, პირადი ცხოვრების შინაარსი და მისი დეტალები.“[92]

გარდა ზემოაღნიშნული უარყოფითი გავლენისა, აგრეთვე, ელექტრონული სამაჯურის გამოყენება არღვევს სასჯელის სუბიექტის პირადი ცხოვრების უფლებას. იგივე პრაივესის უფლებას, რომელიც გულისხმობს მარტო დარჩენის, საჯაროობისგან განცალკევებისა და საზოგადოებრივი ჩარევების გარეშე ცხოვრებას.[93] პირად ცხოვრებაში უარყოფითი ჩარევა შეიძება გამოიხატოს ოჯახურ

---

[90] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის რეკომენდაცია R(92) 16 წევრი სახელმწიფოსადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, 2015წ. გვ. 23.

[91] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NO.R(2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015წ. გვ. 162.

[92] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი 2013. გვ.93

[93] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი 2013. გვ.94.

ურთიერთობებზე კონტროლითა და თვალყურის დევნებით. რაც, იწვევს ოჯახის წევრების არასასიამოვნო შეგრძნებას.[94]

ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ ელექტრონული სამაჯურის ტარება, რომელიც აფიქსირებს პირის ადგლმდებარეობას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებული სამაჯურის ტარებისას ჩაიდენს დანაშაულს, ჩაითვალოს თვითინკრიმინაციად.[95] რასაც ვერ დავეთანხმები. რადგან, სამაჯურს სწორედ იმიტომ ატარებს მსჯავრდებული, რომ გააკონტროლოს მისი ადგილმდებარეობა, რაც, თავის მხრივ, სასჯელის მიზნის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების, გარანტია. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულმა წინასწარ იცის ამ სამაჯურის ტარების შესახებ და ამიტომაც, ზემოაღნიშნული უარყოფითი გავლენას ვერ გავიზიარებ.

გერმანიის, ჰესენის პროექტის მიხედვით დადგინდა, რომ ელექტრონული სამაჯური ზღუდავს პირის ცხოვრებას, რაც გამოიხატება სოციალური კონტაქტების სიმცირეში. ეს კი ადამიანის უფლებების დარღვევაა. შესაბამისად, გერმანულ სიტერატურაში ელექტრონულ სამაჯურს უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ. კრიტიკოსების მიერ სამაჯურის გამოყენება ასოცირდება ძაღლთან მოპყრობასთან. აგრეთვე, მათი აზრით, ხელბორკილი სტიგმატიზაციასა და იზოლაციასა ვერ გვაცილებს თავიდან, რადგან საკუთარ კედლებში გამოკეტილი ადამიანი ძველს კარგავს, ახალს კი- ვეღარ იძენს.[96]

მოცემული სასჯელის აღსრულების მექანიზმი კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჭრილში აშკარად უარყოფითად შეიძლება მივიჩნიოთ.

ლიტერატურაში გადმოცემულია ამ პრობლემის მოგვარების სხვადასხვა გზები.

თამარ მახარობლიძე ამ პრობლემის მოგვარებას მსჯავრდებულის თანხმობის გაცხადებაში ხედავს. „ თუ არ იქნება მსჯავრდებულის თანხმობა, გამოდის რომ ,

---

[94] იხ.გიორგი არსოშვილი, გივი მიქანაძე, მორის შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი 2015, გვ168.

[95] იხ. შალიკაშვილი მ. მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა. გვ. 139.

[96] იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, გვ 713.

პირის ნების საწინააღმდეგოდ სახელმწიფო იჭრება მის პირად ცხოვრებაში, ბინაში აყენებს აპარატურას, უწესებს შეზღუდვებს და ა.შ.[97]

იგივე რჩევაა მოცემული წიგნში „პრობაციის სამართალი“, რომლის მიხედვითაც მსჯავრდებულის სტიგმატიზაციის თავიდან ასაცილებლად მისი წერილობითი თანხმობაა საჭირო ელექტრონული მოწყობილობის სხეულზე დამაგრებთან დაკავშრებით.[98]

ასევე, არსებობს სხვა მოსაზრებაც, მაგალითად, არასრულწლოვნის შემთხვევაში, აღზრდა-განვითარების, სტიგმატიზაციისა და ფსიქოლოგიური პრობლემების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტის საერთოდ გაუქმება, ასევე, მისი შეუსაბამოდ მძიმე ხასიათის გამო და ნაცვლად დაწესდეს ზედამხედველობის სხვა საშუალება.[99]

ეს პრობლემური საკითხი შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმთან დაკავშირებით განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს არასრულწლოვნის შემთხვევაში, რომელსაც გაცილებით მეტი სოციალური კონტაქტები სჭირდება, რადგან ის ჯერ კიდევ ზრდა-განვითარების, ჩამოყალიბების პროცესშია და საზოგადოებასთან ურთიერთობა შეუცვლელია მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის თვალსაზრისით. ელექტრონული სამაჯური კი, როგორც დავინახეთ, აფერხებს ამ პროცესებს. თუმცა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ შედარებით იმ უარყოფითი გავლენებისა, რომლებიც საპატიმრო სასჯელები იძლევა, შინაპატიმრობის ეფექტი ფაქტობრივად უმინიშნელოა. ეს კარგად ჩანს შემდეგი ორი შემთხვევით გამოწვეული სტიგმატიზაციის ხარისხში: სახელმწიფოს მიერ მსჯავრდებულისთვის ელექტრონული სამაჯურის კეთებით გამოწვეული სტიგმატიზაცია და მსჯავრდებულის საკუთარი ნებით ციხეში სასჯელის მოხდის

[97] იხ. თამარ მახარობლიძე , ელექტრონული ზედამხედველობა , როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში, მაია ივანიძე - 50 საიუბილეო კრებული , გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი 2017, გვ 28.

[98] იხ.გიორგი არსოშვილი, გივი მიქანაძე, მორის შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი 2015, გვ167.

[99] იხ.მაკა გორგოძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზოგიერთი სადავო საკითხი. მართლმსაჯულება და კანონი, 2018 N1, გვ 51.

დროს ან კრიმინალური სუბკულტურის წევრობის დამადასტურებელი ტატუს გაკეთება.[100]

ამრიგად, ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარებამდგომარეობს როგორც მსჯავრდებულის/არასრულწლოვნის მიერ, ასევე მისი ოჯახის წევრების წინასწარი თანხმობის გაცხადებაში ელექტრონული სამაჯურის ტარებაზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს, ფაქტობრივადმ, ვერ აგვაცილებს დასახელებულ უარყოფით შედეგებს, კერძოდ, სტიგმატიზაცის, პირად და ოჯახურ სივრცეში ჩარევას, თუმცა იქმნება სამართლებრივი საფუძველი, რომ ამ ჩარევას ლეგიტიმური ხასიათი მივცეთ.

თავი IV

სასამართლო პრაქტიკა და სტატისტიკა.

1.სასამართლო პრაქტიკა.

ამა თუ იმ სამართლებრივ საკითხზე სახელმწიფოს მიდგომების გასარკვევად, გარდა დაწერილი კანონმდებლობისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასამართლო

[100] იხ.გიორგი არსოშვილი, გივი მიქანაძე, მორის შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი 2015, გვ168.

პრაქტიკას, თუ როგორი თავისებურებების გათვალისწინებით განიხილება საქმე და რა დამახასიათებელი ნიშნებით ფასდება ის.

საქართველოში, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, შინაპატიმრობის ინსტიტუტს საკმაოდ მცირე ხნის ისტორია აქვს. არასრულწლოვან პირთა შემთხვევაში, მიუხედავათ იმისა, რომ დღეს მოქმედი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძირითადი ნაწილი 2016 წლის იანვრიდან ამოქმედდა, სასჯელის ეს სახე 2015 წლის 1-ლი სექტემბრიდან გამოიყენებოდა. თუმცა, თავდაპირველად, საკმაოდ მწირი პრაქტიკა იყო, რომელზეც მოგვიანებით ვისაუბრებ. რაც შეეხება სრულწლოვან პირებს, მათ შემთხვევაში სასჯელის ამ სახის გამოყენება უფრო მოგვიანებით, 2018 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყო, რამაც მნიშნელოვანი გარდატეხა მოახდინა სისხლის სამართალში.

არასრულწლოვან პირთა მიმართ სასჯელის სახისა და ზომის არჩევისას მოსამართლე ითვალისწინებს იმ წინაპირობას, რომლებიც შინაპატიმრობის დანიშვნის საფუძველია. კერძოდ, ჩადენილია თუ არა ნაკლებად მძიმე დანაშაული. თუმცა, მხოლოდ ეს არ მოგვცემს ამ სასჯელის დანიშვნის უპირობო საფუძველს. მოსამართლემ, აგრეთვე, უნდა გაითვალისწინოს მთელი რიგი გარემოებები და შემდგომ შეაფასოს რამდენად ადეკვატურია შინაპატიმრობის გამოყენება კონკრეტული პირის მიმართ. ამ გარემოებების დადგენაში, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლეს ეხმარება ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. მისი გამოყენების ვალდებულებაც კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული, რომლის მიხედვითაც „არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.“[101] საკითხავია პრაქტიკაში რამდენად ხშრად ხდება ზემოაღნიშნულის გამოყენება. არაერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში სასჯელის სახისა და ზომის გამოყენებისას მითითებულია, რომ შერჩევისას გათვალისწინებული იქნა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის განაჩენით, რომლის შედეგად არასრულწლოვანს სასჯელის სახედ განესაზღვრა ექვსი თვით შინაპატიმრობა,

[101] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 75, ნაწილი1-ლი.

სასამართლომ აქეცენტი გაამახვილა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე, რომელიც, შესაბამისად, დაასაბუთა საერთაშორისო და აგილობრივი მიდგომების მიხედვით. განაჩენში მითითებული იყო რომ, „სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში იღებს არასრულწლოვანი ბრალდებულის კეთილდღეობის, განათლების, განვითარების ინტერესს და მიაჩნია, რომ სასჯელის მიზნების მიღწევა ა.მ.-ს მიმართ, შესაძლებელი იქნება მისთვის შინაპატიმრობის შეფარდების შემთხვევაში.“ [102] ასევე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 მაისის განაჩენში აღნიშნულია, რომ მოსამართლემ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით დაადგინა გარემოებები, რომლებზე დაყრდნობითაც მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება.[103]

მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ განაჩენში უშუალოდ, დეტალურად ასახოს ის ინდივიდუალური ანგარიშით მოპოვებული ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობითაც მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება სასჯელის სახესთან, ზომასთან დაკავშირებით და ეს მითითება არ უნდა იყოს მხოლოდ ზედაპირულად, შაბლონური თვალსაზრისით ჩაწერილი განაჩენში. რადგან, მაგალითად, თუ არასრულწლოვანს არა აქვს შესაბამისი ოჯახური პირობები ამ სასჯელის აღსასრულებლად ეს დიდი ზიანს მიაყენებ მას.

ზემოაღნიშნული გარემოების მაგალითად შეიძლება მოვიყავნოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის განაჩენი, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანს ჩადენილი ჰქონდა 177-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 178-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დანაშაულები , რომლებიც ნაკლებად მძიმე სახეს მიეკუთვნებოდნენ. ის ინანიებდა ჩადენილს და საქმეში რაიმე დამამძიმებელი გარემოება არ არსებობდა.[104] ამ დანაშაულების მიხედვით სასჯელის ალტერნატივებს წარმოადგენდა ჯარიმა, თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეთა. განაჩენის მიხედვით მოსამართლეს ჰქონდა გამორკვეული, რომ პირი არ მუშაობდა და ამი გამო ჯარიმის დაკისრება

[102] იხ. იოსებ ვარძელაშვილი, არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა(სასამართლო პრაქტიკის ანალიზი). არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2017. გვ 132.
[103] იქვე.
[104] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის განაჩენი საქმეზე N1/571-16.

გამოირიცხა. თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში, მოცემული პერიოდისთვის, ეს ღონისძიება გაუქმებული იყო. საბოლოოდ კი, სასჯელის სახედ სწორედ შინაპატიმრობა იქნა არჩეული, თუმცა განაჩენში არაფერი წერია თუ კონკრეტულად რატომ შეარჩია მოსამართლემ სასჯელის ეს სახე, გამოიყენა თუ არა მან საერთოდ ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. შეიქმნა ისეთი სიტუაცია, თითქოს მოსამართლემ ეს გადაწყვეტილება სხვა გზის არარსებობის გამო მიიღო. გასაგებია, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწიებით, ასევე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და ჩადენის გარემოებების მიხედვით თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა მას, თუმცა აუცილებლად უნდა იყოს ახსნილი თუ რატომ იქნა გამოყენებული სასჯელის სახედ შინაპატიმრობა. ამისათვის კი კანონმდებლობა საუკეთესო საშუალებად სწორედ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენებას გვთავაზობს.

აღსანიშნავია, ასევე , ერთ-ერთი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლო სასჯელის სახისა და ზომის გამოყენებასთან დაკავშრებით უშუალოდ მსჯელობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 ივნისის განაჩენში (საქმე N 1/2469-16) აღნიშნულია, მიუხედავათ იმისა, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი არასრულწლოვანია, წარსულში არ არის ნასამართლევი, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ნაკლებად მძიმე დანაშაულს, მოსამართლემ არ გამოიყენა არასაპატიმრო სასჯელები,მათ შორის შინაპატიმრობა, იმ მოტივით, რომ პირს არ ჰქონდა მუდმმივი საცოვრებელი სახლი და არ ჰყავდა უშუალო მზრუნველი ვინც მას მიაქცევდა ყურადღებას სასჯელის ამ სახის მოხდის დროს. [105]

ამრიგად, სასჯელის არჩევისას კონკრეტულ პირთან დაკავშრებულ გარემოებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. არასრულწლოვნის შემთხვევაში ეს ინდივიდუალური ანგარიშის მიხედვით უნდა განისაზღვროს, რომლის შედეგადაც თავიდან იქნება აგვარიდებული ის უარყოფითი გავლენები, რომლების რისკიც სასჯელის

[105] იოსებ ვარძელაშვილი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის , როგრც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი 2017. გვ. 73.

ადრესატის მიმართ არსებობს. არასრულწლოვნი განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს, რადგანაც მისი ყოფა, ძირითად შემთხვევაში დამოკიდებულია უშუალოდ ოჯახზე, მის წევრებზე სადაც ის უნდა აღიზარდოს და მოხდეს მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია სასჯელის მოხდის დროს. რაც შეეხება სრულწლოვანს, კანონი, რა თქმა უნდა, მათ არასრულწლოვნებთან შედარებით ნაკლებ ლოიალურად ეპყრობა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სრულწლოვანი პირების შემთხვევაშიც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოპირობებს სადაც ის ცხოვრობს, აქვს თუ არა საცხოვრებელი სახლი, როგორი ოჯახური პირობები აქვს და სხვა. ეს ყველაფერი უნდა განისაზღვროს იმისათვის, რათა ზიანი არ მიადგეს, არა მხოლოდ სასჯელის ადრესატს, არამედ იმ პირებსაც ვისთანაც ერთად უწევს ცხოვრება განსასჯელს.

საინტერესო მიდგომებს გვთავაზობს სასამართლო ზრდასრულ მსჯავრდებულებთან მიმართებით. როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს შინაპატირმობის იმგვარად დანიშვნას, რომ მოსამართლემ მხედველობაში მიიღოს პირის სამსახურეობრივი მდგომარეობა. მიუხედავათ ამისა მოსამართლეები ამ მხრივაც ლოიალურად უდგებიან საკითხს და ითვალისწინებენ მათ ყოველდღიურ ყოფას, სადაც ცხოვრება უწევთ. მაგალითად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 9 იანვრის განაჩენით(საქმე ნომრით 080100118002499219) პირს სასჯელის სახედ განესაზღვრა შინაპატიმრობა წლის ვადით. მას დაეკისრა სახლში ყოფნის ვალდებულება 23:00 საათიდან 07:00 საათამდე. მოსამართლის მოტივაცია კი ამ პერიოდის არჩევისას იყო, რომ არ შეზღუდვოდა მუშაობის შესაძლებლობა.[106] ეს საკმაოდ კარგი მიდგომაა, რადგან სრულწლოვან პირებსაც სჭირდებათ შესაბამისი ეკონომიკური შესაძლებლობა, რათა ცხოვრება გააგრძელონ სრულფასოვნად, რაც რესოციალიზაციაში დაეხმარებათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო პრაქტიკის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი მიდგომების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც პრეცედენტულად გადაეცემა მომავალში და არაერთ საინტერესო კანონის დასაშვებ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ეს კი კანონის ლიბერალიზაციისთვის გამოსადეგია.

[106] http://ecd.court.ge/Decision#!

2. სტატისტიკა.

სასამართლო პრაქტიკასთან ერთად დიდი როლი აქვს კრიმინალურ სტატისტიკას, რომლითაც ფასდება ქვეყანაში მიმდინარე, სამართალწარმოებასთან დაკავშირებული, მთელი რიგი გარემოებები. კრიმინალურ სტატისტიკას მრავალი დანიშნულება აქვს. ის გამოხატავს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ეფექტურობას, გვაძლევს ინფორმაციას არსებული კრიმინოგენული მდგომარეობის შესახებ და მის გამომწვევ მიზეზებზე. მისი მეშვეობით ხდება მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება სამართალდარღვევების შესახებ, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა თავი აარიდონ ამა თუ იმ სახის დანაშაულს. ასევე სტატისტიკით ხორციელდება იმ ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც პრევენციისთვის მნიშვნელოვანია.[107]

საქართველოში შინაპატიმრობის ინსტიტუტის არსებობის ისტორია არცთუ ისე დიდია. შედეგად მწირია სტატისტიკა. განსაკუთრებით სრულწლოვან პირთა შემთხვევაში, სადაც სასჯელის ეს სახე წელიწადზე ცოტა მეტი ხანია რაც გამოიყენება. შესაბამისად, შინაპატიმრობას, სტატისტიკურ ჭრილში, განვიხილავ არასრულწლოვან პირთა მიმართებით.

როგორც უკვე აღვნიშნე, შინაპატიმრობა სასჯელის სახედ გამოიყენება 2015 წლის 1-ლი სექტემბრიდან. ამ პერიოდიდან 2016 წლის პირველ იანვრამდე, ვიდრე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ამოქმედდებოდა, ეს სასჯელი მხოლოდ ერთხელ შეეფარდა 18 წელს მიუღწეველ პირს.[108]

2016 წელს, უკვე, უფრო აქტიურად გამოიყენებოდა შინაპატიმრობა. ამ პერიოდში არსებული 15 640 მსჯავრდებულიდან არასრულწლოვანი იყო 146

---

[107] იხ. შალიკაშვილი მ. მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა. გვ 12.

[108] წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016-weli-wigni-sisxli.pdf

(0,9%), რომელთაგან შინაპატიმრობა შეეფარდა ცხრას. აღსანიშნავი გარემოებაა , რომ მოცემული 146 პირიდან 118 (80.8 %) არც მუშაობდა და არც სწავლობდა.[109]

გაზრდილია ამ სასჯელის მაჩვენებელი 2017 წელს, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით. 14 517 მსჯავრდებულიდან არასრულწლოვნის ხვედრითი წილი არის 197 (1.4 %), შინაპატიმრობა კი შეეფარდა 36 მათგანს. რაც შეეხება განათლების მიღებას და სამსახურს, მოცემული 197 მსჯავრდებულიდან 153 (77.7) იყო ისეთი, რომლებიც, არც მუშაობდნენ და არც სწავლობდნენ.[110] როგორც ვხედავთ, მომატებულია შინაპატიმრობის გამოყენება, რაც შესაძლოა კანონის და სასამართლო პრაქტიკის ლიბერლიზაციაზე მიუთითებდეს.

შემდგომ პერიოდში, მიუხედავთ იმისა, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რიცხოვნება მნიშნელოვნად არ შეცვლილა მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობასთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 15 845-დან 212 (1.3 %)-ს, მკვეთრადაა შემცირებული შინაპატიმრობის გამოყენების მაჩენებელი. კერძოდ, მოცემულ წელს ეს სასჯელი შეეფარდა მხოლოდ 17 არასრულწლოვანს. ხოლო, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა შორის ისეთები, რომლებიც არ მუშაობდნენ და არ სწავლობდნენ იყო 168 (79.2%).[111]

განხილული სტატისტიკური მონაცემების ერთიანი ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ყოველწლიურად არასრულწლოვან მსჯავრდებულთა წილი მსჯავრდებულთა საერთო ოდენობასთან, დაახლოებით, 1-დან 1,5 პროცენტამდე მერყეობს. ხოლო არასრულწლოვან მსჯავრდებულებს შორის სასჯელის სახედ შინაპატიმრობის გამოყენების საშუალო მაჩვენებელი სხვა დანარჩენ სასჯელებთან მიმართებით 10 პროცენტია. მოცეული სტატისტიკური მონაცემებიდან აღსანიშნავი გარემოებაა, რომ ყოველ წელიწადს დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების 80 % არც სწვალობს და არც მუშაობს. შესაბამისად, ამ ასაკობრივი ჯგუფების დანაშაულის გამომწვევი ერთ-ერთი კრიმინოგენული ფაქტორი სწორედ ესაა.

---

[109] წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016-weli-wigni-sisxli.pdf

[110] წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2017-weli-wigni-sisxli.pdf

[111] წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-sisxli.pdf

ზემოაღნიშნული დანაშაულის გამომწვევი კრიმინოგენული ფაქტორი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ დანაშაულის სახეებზე, რომლებსაც არასრულწლოვნები ჩადიან. მაგალითად, 2018 წლის სტატისტიკური მაჩვენებლებიდან დგინდება, რომ ამ მონაკვეთში შინაპატიმრობამისჯილი პირების მიერ ძირითადად ჩადენილი იქნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. კერძოდ, ჩადენილი 17 დანაშაულიდან 14 მათგანი არის სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქურდობა.[112]

ასევე, მნიშვნელოვანი მაჩვენებელია თუ რა ვადით ნიშნავენ მოსამართლეები სტატისტიკურად შინაპატიმრობას. ძირითად შემთხვევაში, სასჯელის ვადათ მის მინიმალურ ზღვარს, 6 თვეს არჩევენ. რაც შეეხება დღე-ღამის პერიოდს, ეს მაჩვენებელი ღამის საათებზე მოდის, რომელიც უმეტეს წილად 22:00 - დან იწყება და 08:00 საათამდე გასტანს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მაჩვენებელით მარტივად იკვეთება სასჯელის ამ სახის როლი და მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართალში, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულისას, რომელთა შემთხვევაშიც კანონის ლიბერალური მოპყრობა აუცილებელია. ასევე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შინაპატიმრობის ქვედა 6 თვიანი ზღვარი შემცირებას საჭიროებს, რადგან, როგორც დავინახეთ მოსამართლეები ხშრად უმის უმცირეს ზომას იყენებენ, რაც გვაძლევს იმის ფიქრის საშუალებას, რომ მათ მეტი გასაქანი არა აქვს. შესაბამისად, ლავირების მეტი შესაძლებლობისთვის უმჯობესი იქნება სასჯელის ზომის ქვედა ზღვრის შემცირება.

სტატისტიკით ასევე ჩანს, რომ უმუშევრობა და უსწავლელობა ერთ-ერთი განმაპირობებელია დანაშაულის ჩადენისა. შესაბამისად აუცულებელია სასჯელის დანიშვნასთან ერთად გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა სოციალური და საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც ერთგვარ „საქმეს“ მისცემს მსჯავრდებულებს და, შეიძლება ითქვას, დროს და საფიქრალს არ დაუტოვებს დანაშაულის ჩადენისთვის.

[112] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/133/2018-tseli

დასკვნა

შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, საპატიმრო სასჯელებთან მიმართებით აშკარად უკონკურენტოა. ის, როგორც დავინახეთ, სისხლის სამართალში თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად ითვლება და მისი მნიშნელობა კანონის ლიბერალიზაციის თვალთახედვით უაღრესად დიდია. შინაპატიმრობა დანაშაულის ჩამდენ პირს საშუალებას აძლევს თავი აარიდოს ციხის კედლებს, შესაბამისად იმ უარყოფით გავლენებს, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ადამიანს. განსაკუთრებით არასრულწლოვანს , რომელიც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური თვალსაზრისით. გარდა ამისა, ეჭვს არ ტოვებს მისი ეფექტურობა სასჯელის მიზნების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, აღსრულებისას.

საქართველოში მოცემული სასჯელი, როგორც ერთგვარი ნოვაცია, მისი შექმნის თარიღის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ დაგვიანდა მისი დანერგვა. თუმცა, აღსანიშნავია მისი დიდ როლი და ეფექტი იმ 3-4 წლიანი პერიოდის შესაბამისად რასაც მოიცავს არასაპატიმრო სასჯელის ამ სახის გამოყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ხოლო სრულწლოვანი პირების შემთხვევაში ეფექტზე საუბარი ჯერ-ჯერობით ნაადრევია.

ყველაფერს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. როდესაც დადებითი მხარეების რაოდენობა აღემატება უარყოფითს, საკითხი წარმატებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ. შინაპატიმრობაც, ამ ჭრილში, როგორც განხილვისას დავინახეთ, საკმაოდ წარმატებულია. სასჯელის ადრესატის გარკვეული დონის სტიგმატიზაცია და ელექტრონული სამაჯურის ტარებით გამოწვეული შინაგანი სტრესი ძირითად უარყოფით მხარეს წარმოადგენს. თუმცა, თუ ამ ნეგატიურ რისკებს შევადარებთ ციხის პირობებში არსებულ რისკებს უარყოფით მხარეზე, ვფიქრობ, ზედმეტი იქნება საუბარი. რაც შეეხება დადებითს. კრიმინალური დასნებოვნების და პატიმრის „იარლიყის მიკერებით“ გამოწვეული სტიგმატიზაციის თავიდან აცილება, სასჯელის ეკონომიურობა, პენიტენციური დაწესებულებების განტვირთვა, სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, ოჯახთან/მეგობრებთან

ურთიერთობა და შესაბამისად რესოციალიზაციის მაღალი ხარისხი შინაპატიმრობის მხარდამჭერი არგუმენტებია. არათუ რაოდენობრივად, არამედ შინაარსობრივადაც, ცალსახად, მაღლა დგას მხარდამჭერი არგუმენტები მის საწინააღმდეგოსთან. მიუხედავათ შინაპატიმრობის ზემოთ განხილული უარყოფითი გავლენებისა, რომლებიც სამართლის ლიტერატურასა და რეალობაში არაერთ პრობლემას სახავს, საბოლოოდ მისი შეუცვლელობა საპატიმრო სასჯელებთან მიმართებით უდავოა.

როგორც თეორიული განხილვებით, ასევე პრაქტიკის გათვალისწინებით ვხვდებით უამრავ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია შინაპატიმრობის დანიშვნასა და მის აღსრულებასთან. უპირველეს ყოვლისა, სადავოა სასჯელის ზომის ქვედა 6 თვიანი ზღვარი, რომელიც თანაბარია სისხლის სამართლის კოდექსითა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევაში. აუცილებელია მათი დიფერენცირება და შემცირება, რათა, ერთის მხრივ, მოსამართლეს ჰქონდეს მეტი ლავირების საშუალება სასჯელის ზომის შერჩევისას, მეორეს მხრივ, კი არსებობდეს სხვაობა, რომელიც გვაჩვენებს განსხვავებულ მიდგომებს სრულწლოვან და არასრუწლოვანი პირების მიმართ. ეს კი თავის თავში გულისხმობს უფრო ლოიალური დამოკიდებულების არსებობას მოზარდების მიმართ, რომელთაც კანონი განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობა.

საკითხის განხილვის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტად გამკაცრებულია სასჯელის დანიშვნის წინაპირობა, რომლის მიხედვითაც შინაპატიმრობის გამოსაყენებლად აუცილებელია სახეზე იყოს ნაკლებად მძიმე დანაშაული. მაშინ, როდესაც უცხოური პრაქტიკა უფრო მაღალი რისკის დამნაშავეების მიმართაც გამოიყენებს ამ სასჯელს. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულზე ზემოქმედების ეს ფორმა შეიცავს თავისუფლების აღკვეთის ნიშნებს, აუცილებელია ქართულ რეალობაშიც დამკვიდრდეს ეს გაფართოვება და მძიმე დანაშაულების ჩადენის შემთხვევაშიც იყოს შესაძებელი შინაპატიმრობის გამოყენება. ეს კი შეამცირებს საპატიმრო სასჯელებს, განსაკუთრებით 18 წლამდე პირების მიმართ.

შეზღუდვები, რომლებითაც მოსამართლე ვალდებულია გაითვალისწინოს სასჯელის ამ სახის დანიშვნისას ჩვენი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე, დავინახეთ, რომ შედარებით მიუღწევადია. ეს ეხება სწავლისა და სამსახურის შესაბამებას სასჯელთან. აუცილებელია ვალდებულების სახით არსებობდეს ყოველლივე ზემოაღნიშნული, რათა სასჯელის მიზნების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის უკეთესი შედეგი მოგვცეს. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას არასრულწლოვნთან მიმართებით.

შინაპატიმრობის, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი სასჯელის მიზანი დანაშაულის ჩამდენ პირზე ზემოქმედებაა. ეს ზემოქმედება კი იმგვარი უნდა იყოს, რომ გამოიწვიოს, არა პირზე უარყოფითი ეფექტი, არამედ, პირიქით, მისი რეაბილიტაცია და საზოგადოებაში სრუფლასოვან წევრად დაბრუნება. ამ მიზნის მიღწევა კი, როგორც დავინახეთ, ვერ მოხერხდება მსჯავრდებულის/არასრულწლოვნის მხოლოდ სახლში გამოკეტვით. აუციებელია იმ საგანმანათლებლო და სოციალური პროგრამების ჩართვა სასჯელის აღსრულებისას, რომლებიც შედეგიანი იქნება.

რაც შეეხება შინაპატიმრობის აღსრულებას და მის მექანიზმს. თემის განხილვამ დაგვანახა, რომ აუცილებელია ელექტრონული სამაჯურის ტარებამ დადებითი ეფექტი მოგვცეს და პირიქთ არ გამოიწვიოს ის პრობლემები, რომლებიც კონსტიტუციურ სამართლებრივ ჭრილში განიხილება. კერძოდ, კონტროლმა ხელი არ უნდა შეუშალოს სასჯელის ადრესატს უსამართლოდ ჩაერიოს, არა მხოლოდ მის, არამედ ოჯახის წევრების პირად ცხოვრებაში. პრობლემის სამართლებრივად აღმოსაფხვრელად კი აუცილებელია მსჯავრდებულის/არასრულწლოვნის წინასწარი წერილობითი თანხმობა. გარდა ამისა, ტექნოლოგიური მიღწევები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოხდეს ელექტრონული სამაჯურის ზომისა და ფორმის იმგვარი შეცვლა, რომ გარშემომყოფების მიერ პირი არ აღიქმებოდეს ერთგვარ „პატიმრად“, რათა თავიდან ავიცილოთ სტიგმატიზაცია და მარგინალიზაცია.

შესაბამისად, საბოლოო დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ აუცილებელია არსებობდეს განსხვავებული მიდგომები სრულწლოვანი მსჯავრდებულების არასრულწლოვანი პირებთან მიმართებით. ეს განსხვავება კი მხოლოდ

პრაქტიკიდან არ უნდა ჩანდეს. უპირველეს ყოვლისა, დაწერილი კანონიდან ნათლად უნდა იკითხებოდეს ეს უკანასკნელი, რათა ნაკლები პრობლემები შეიქმნას რეალობაში. კერძოდ, მოსამართლისთვის, სასჯელის ამ სახისა და ზომის არჩევისას, ლავირების დიდი შესაძლებლობის ქონა შედეგად, ნაკლებად მისცემს საბაბს დაარღვიოს მსჯავრდებულის უფლებები, განსაკუთრებით არასრულწლოვანი პირის, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაშ უპირატეს მდგომარეობაში უნდა იყოს სრულწლოვან პირთან მიმართებით. ამ პრობლემების აღმოფხვრით კი დიდათ გაიზრდება არასაპატიმრო სასჯელის ამ სახის ეფექტურობა და ის ზედმიწევნით ზუსტად შეასრულებს კანონით გათვალისწინებულ სასჯელის ყველა მიზანს.

ბიბლიოგრაფია

1.ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი .
3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.
4. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი.
5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ (პეკინის წესები).
6. ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის #178 ბრძანება.
7. შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N 146-ე ბრძანება, 2017 28 დეკემბერი.

2. სამეცნიერო ლიტერატურა

1. იოსებ ვარძელაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „სასჯელის მიზნები“ (დაცულია 2016 წლის 21 ივნისს), თბილისი, 2016.

2. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1; ავტორთა ჯგუფი; მაია ივანიძე, მარინა მესხი, ნინო გოგნიაშვილი, თამარ მახარობლიძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017.
3. სამართლის ჟურნალი №2; უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012.
4. სამართლის ჟურნალი №2; უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009
5. სისხლის სამართლის ჟურნალი, N1, 2018.
6. მართლმსაჯულება და კანონი, N1 , 2018.
7. სისხლის სამართლის კანონის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2016.
8. მზია ლეკვეიშვილი - 85: საიუბილეო კრებული / რედაქტორი: მაია ივანიძე; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2014
9. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994.
10. შალიკაშვილი მ, კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2010.
11. მაია ივანიძე - 50, საიუბილეო კრებული, რედ. თამარ მახარობლიძე, გამომცემლობა „ იურისტების სამყარო“. თბილისი, 2017.
12. პრობაციის სამართალი, გ. არსოშვილი, გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, თბილისი, 2015.
13. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა; მორის შალიკაშვილი; გივი მიქანაძე; გამომცემლობა „ მერიდიანი“ , თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016
14. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა ; მაია ივანიძე; ნონა თოდუა; იოსებ ვარძელაშვილი; თამარ მახარობლიძე. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017.
15. გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, რედ. ნონა თოდუა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016.
16. ევროპის საბჭოს დოუმენტების კრებული ციხეში გადატვირთულობის აღსაკვეთად, 2015.
17. ნილს კრისტი, ტკივილის საზღვრები: სასჯელის როლი სასჯელაღსრულების პოლიტიკაში. პირველი ქართული გამოცემა. რედ.მორის შალიკაშვილი, გიორგი გიორგაძე. თარგმანი უშანგი ბახტაძე. 2017.
18. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი 2013.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის განაჩენი საქმეზე N1/571-16.

ელექტრონული წყაროები:

1. http://www.supremecourt.ge

2. https://www.geostat.ge

3. http://ecd.court.ge